93
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, [illegible] 10—50.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 80 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 21 (873) შაბათი, 26 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 21 (873)

დღიური

27 იანვარი გამოცხადებულია გლოვის დღეთ.

იტალიის მეფემ ხელი მოაწერა პარლამენტის გაშვების დეკრეტზე.

ამერიკის ფინანსისტები აწარმოებენ სპარსეთთან მოლაპარაკებას რკინისგზის კონცესიების შესახებ.

მოსკოვში დაინიშნა ინგლისის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

გერმანიაში მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციელებს შორის.

დადგენილება №3

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

მე-2 №-ის დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭო ადგენს:

1. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ ილიასძე ულიანოვის (ლენინის) დაკრძალვის დღე—ამა წლის იანვრის 27 (ნაცვლად იანვრის 26-სა) გამოცხადდეს გლოვის დღეთ.

2.—აღნიშნულ დღეს—იანვრის 27-ს—ყველა, გამოუნაკლისად, საწარმო, დაწესებულება, მეურნეობა, სავაჭრო და სხვა დაწესებულება დახურული უნდა იქნეს.

3.—არ შესწყდება მუშაობა: წყალსადენისა, განათების საწარმოთა, ტრანსპორტისა (მხოლოდ რკინის გზა), ფოსტის გადატანისა, ტელეგრაფისა, ტელეფონისა, სტაციონალური სამკურნალო დაწესებულებებისა, მორიგე აფთიაქებისა და ცეცხლის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმისა (ბრძოლა სტიქიურ უბედურებასთან).

4.—შაბათს ამა წლის იანვრის 26-ს მუშაობა ყველა,—გამონაკლისად—დაწესებულებაში და საწარმოში გარდა ამა დადგენილების მე-3 მუხლში ჩამოთვლილ საწარმოთა,—შესწყდეს შუადღის 12 საათზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე—**ლ. ღოღობერიძე.**

სახკომისართა საბჭოს საქმ. მმართველი—**ალ. ხადარიძე.**

1924 წ. იანვრის 25. ტფილისი. სასახლე.

გლოვის დღე

ცენტრალური კომისია აუწყებს ტფილისის მუშებს, ყველა მშრომელთ და მოქალაქეებს, რომ

დემონსტრაცია გადატანილია 27 იანვრისათვის.

დემონსტრაციის წესრიგის შესახებ გამოქვეყნებული დადგენილების დასამატებლად, ცენტრალური კომისია ადგენს:

1. ცენტრალური კომიტეტის შენობიდან ერთი საათით ადრე, რაიონებიდან მსვლელობის დაწყებამდი, გამოტანილი იქნება ამხ. ლენინის სურათი რაიონების, პროფკავშირების, კომკავშირის, ცენტრალური კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების დელეგაციების თანხლებით.

დელეგაციები ამხ. ლენინის სურათით მიემართებიან თავისუფლების მოედნისაკენ.

2. მთელი პასუხისმგებლობა დელეგაციის მსვლელობისათვის ამხ. ლენინის სურათით, ეკისრება ამხ. პანკრატოვს, რომელსაც უნდა მიმართონ მსვლელობასთან დაკავშირებული ყველა საკითხების გამო.

3. პასუხისმგებლობა რაიონებში დემონსტრაციისათვის ეკისრება შემდეგ ამხანაგებს:

1-ლი რაიონი ამხ. გოლდბაუმი და ტობენკი.
2 „ „ ამხ. მაშკევიჩი და მენჩუგოვი.
3 „ „ ამხ. ფირალოვი და ლეკვტაძე.
4 „ „ ამხ. ხაცკევიჩი და გრიგოლია.

ცენტრალური კომისია; **ღოღობერიძე, რუხაძე, ყურულაშვილი.**

მიტინგები

სამგლოვიარო დღეების გამართვის ცენტრალური კომისია აცნობებს საქართველოს ყველა მშრომელთ, რომ დღეს, 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე შესდგება მიტინგები ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

მიტინგები გაიმართება შემდეგ პუნქტებში.

1. **ნაძალადევის თეატრში**—რკინისგზელების შესაკრები ადგილი. მომხსენებელი—**მიხა ცხაკაია.**

2. **ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი (მუშტაიდი)**—რკინისგზის რაიონის ყველა დანარჩენ მუშა-მოსამსახურეთა შესაკრები ადგილი. მომხსენებელი ამხ. **გ. სტურუა.**

3. **ცენტრალური მუშათა კლუბი**—გემო-კვების, მკერავების, ქიმიკოსების, ტყავზე მომუშავეთა კავშირის წევრების და ელექტრონის სადგურების მუშების შესაკრები ადგილი. მომხსენებელი ამ-ბი **ყურულაშვილი და თოდრია.**

4. **ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი**—ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა შესაკრები ადგილი. მომხსენებელი ამხ. **ერქომაიშვილი.**

5. **არსენალი**—არსენლის მუშათა შესაკრები ადგილი. მომხსენ. ამხ. **ვანია სტურუა.**

6. **მელითონეთა კლუბი**—მელითონეთა და ხის დამმუშავებელთა შესაკრები ადგილი. მომხსენებელი ამხ. **მოგილევსკი.**

7. **სახალხო სახლი**—სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქართველ მუშაკელთა და არსენალის რაიონის სხვა კავშირების შესაკრები ადგილი. მომხსენებელი ამხ. **ტოროშელიძე.**

8. **თეატრი „სოლეი“.**—ფოსტა ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა და მშენებელთა კავშირის წევრების შესაკრები ადგილი. მომხსენებელი ამხ. **კოტე ცინცაძე.**

9. **სახელმწიფო ოპერა.**—საბჭოთა მოსამსახურეები და ქიმიკოსების შესაკრები ადგილი. მომხსენებელი ამხ. **რუბენ.**

10. **რუსთაველის თეატრი**—განათლების მუშაკთა, მბეჭდავების, კომუნალურ მუშაკთა და ხის დამმუშავებელთა შესაკრები ადგილი. მომხს. ამხ. **ფილიპე მახარაძე.**

11. **პატარა თეატრი**—ხელოვნების მუშაკთა, სამთო-მადნო წარმოების მუშების, ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშების შესაკრები ადგილი. მომხსენებელი ამხ. **სუტირინი.**

12. **პროფკავშირთა დარბაზი**—ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის, რუს მუშაკელების, ტფილისის ელექტრო-მექანიკური ქარხნის მუშათა შესაკრები ადგილი. მომხს. ამხ. **ნ. ოკუჯავა.**

13. **ავლაბრის მუშათა კლუბი**—ავლაბრის მუშების შესაკრები ადგილი, მომხს. ამხ. **კახიანი.**

14. **ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბი**—მომხს. ამხ. **გუსეინოვი.**

15. **ნავთლუღის კლუბი**—მომხსენებელი ამხ. **გაბრიელი.**

16. **სასაკლაოს მუშების კლუბი**—მომხს. **ელიზაბედაშვილი.**

17. **მეტყავეთა კლუბი** (ორთაჭალის რაიონი)—მეტყავეთა, ფეიქრების და ქიმიკოსების შესაკრები ადგილი—მომხს. ამხ. **მარკარიანი.**

18. **მკერავების კლუბი** (მელიქოვის ქუჩა)—მკერავების და გემოკვების მუშათა შესაკრები ადგილი—მომხ. ამხ. **ფეანია.**

ყველა მომხსენებლები უნდა გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილებზე განსაკუთრებული გაფრთხილების გარეშე.

ცენტრალური კომისია.

ლენინი

აღარ გვყავს ლენინი. მსოფლიო კომუნისტურმა რევოლუციამ დაჰკარგა მებაირახტრე, საერთაშორისო პროლეტარიატმა—ბელადი და მასწავლებელი, ყველა ქვეყნის დაჩაგრულმა ერებმა, დამონებულმა ხალხებმა—დამცველი და მოპირნახულე. განუზომელია და აუნაზღაურებელი დანაკლისი ეკონომიური და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი მშრომელი და ტანჯული კაცობრიობის. ის, ვისკენაც გონებრივი თვალით ინსტიქტიურად იყურებოდენ ძველ ქვეყნიერებასთან მძიმე ბრძოლაში ჩაბმული მშრომელი მასები და მოელოდენ მისგან დარიგებას, ის, ვის სახელს სასოებით და ღრმა სიყვარულის გრძნობით იხსენიებდენ შორეულ ქვეყნების მონები და შევიწროებულნი, ის, ვისთვისაც არა ერთხელ მიუმართავთ განსაცდელში ჩავარდნილ ან ბრძოლის პროცესში დროებით შემდგარ, შეფიქრიანებულ არმიებს რევოლუციისას—ის აღარ გვყავს, ის გაგვშორდა სამუდამოთ.

რითი დაიმსახურა ლენინმა ასეთი განუსაზღვრელი ნდობა და სიყვარული, რამ დაიუფლა ის ჩაგრული კაცობრიობის სული, მთელ მის არსებას, რამ მისცა მას გასაღები მისი გულის საიდუმლოებების, რატომ შეიქნა ის გამომხატველი მისი იმედებისა და მისწრაფებათა?

ჩვენი დიდი მასწავლებელი მარქსი ამბობდა, რომ ფილოსოფოსები იძლეოდენ დღემდე მსოფლიოს მდგომარეობის ახსნა-განმარტებას, მაგრამ ეს არ არის საკმაო: საჭიროა მისი **გარდაქმნა.** საუკუნოებით დამონებული და განაწამები მშრომელი კაცობრიობისათვის არ იყო საკმაო მხოლოთ სიტყვა, აუცილებელი იყო დაენახა მას საქმე, რათა რაიმე ცვლილება დასტყობოდა მის ჯოჯოხეთურ ცხოვრებას. და უდიდესი, ჯერ უნახავი მებრძოლი ამ გარდაქმნისათვის, ძველის დამხობისა და ახალი ქვეყნის აშენებისათვის—იყო სწორეთ ლენინი.

კაპიტალის მონამ იგრძნო და შეიგნო, რომ ამხ. ლენინის სახით მას მოევლინა. ის, რომელზეც ოცნებობდენ შთამომავლობათა გრძელ მანძილზე მილიონიანი მასები. მასში დაინახეს მათ თავიანთი კაცი, რომელიც ბუმბერაზული ძალით მიაქანებდა წინ მათი განთავისუფლების საქმეს. ოქტომბრის დიდი რევოლუცია, რომელსაც სული ჩაუდგა ლენინმა, საბჭოთა სოციალისტური კავშირი, რომელიც შედეგათ მოგვცა ამ რევოლუციამ—იყო და არის უდიდესი ისტორიული მაგალითი, კოლოსალური ცდა შრომის სამეფოს დამკვიდრებისა და ბუნებრივია, რომ ეს ცდა დანახული, შეგრძნობილი და შეთვისებული შეიქნებოდა ყველგან და ყველას მიერ, რომლებიც იტანჯებიან ძველი რეჟიმის მძიმე უღელ ქვეშ. ასეც გაიგეს მათ მნიშვნელობა ოქტომბრის უმაგალითო გამარჯვების და მისი დიდი ბელადის.

მაგრამ მარტო ეს არ იყო მიზეზი მისი უსაზღვრო გავლენის.

ლენინის, როგორც ბელადის, დამახასიათებელი იყო მისი ურყევი, უძლეველი ნებისყოფა და სიმტკიცე. მთელი ბურჟუაზიული პრესა, ე. ი. ჩვენი მტრების ბანაკი, ერთხმათ აღნიშნავს დღეს ასეთ თვისებას ჩვენი გარდაცვლილი ბელადისას. ეჭვს გარეშეა ამ შავ ლეგიონებს საკმაო საბუთი მისცა ამხ. ლენინის ხანგრძლივმა მოღვაწეობამ და ბრძოლამ შეედგინათ მის შესახებ სწორეთ ეს აზრი. ისტორიას ხომ არ ახსოვს მეორე, რომელსაც ასე აემოძრავებინოს კოლონიებისა და მეტროპოლიების მონები მონათმფლობელების წინააღმდეგ, ხომ არ ახსოვს მეორე, რომელსაც წაეყვანოს მილიონები კერძო საკუთრების ციხე-სიმაგრეების ასაღებათ, რომელსაც ჩაენერგოს ამ დამონებულებში იმედი მათი საბოლოო განთავისუფლებისა. ჩვენი მტრები არ სტყუვდებიან იმაში, რაშიაც დარწმუნებულია მუშათა კლასი, რაც იცის მან. და სწორეთ ასეთი თვისება გარდაცვლილი ბელადის, ღრმა რწმენა მის პირად გიგანტურ ძალაში და სიმტკიცეში, რწმენა, რომ ის ბოლომდი ივლის ერთი აღებული გზით, რომელსაც მიყავს კაცობრიობა საბოლოო გამარჯვებამდე—იყო მეორე უმთავრესი მიზეზი მისდამი უსაზღვრო ნდობისა, მისი სიყვარულის.

არის კიდევ სხვა მიზეზი ჩვენი ბელადისადმი განუსაზღვრელი ნდობის, მიზეზი იმისი, თუ რატომ შეიქნა ის სათაყვანებელი რევოლუციის არმიებისათვის.

ლენინი აერთებდა თავის პიროვნებაში თეორეტიული აზროვნების სიღრმესა და სიძლიერესთან, სინამდვილის შეცნობის ჯერ უნახავ უნარს. სირთულე მდგომარეობის იფანტებოდა მისი მკვეთრი, გენიალური პრაქტიკული აზროვნების წინაშე. ის გამარჯვებული გამოდიოდა ყველა სიძნელედან, რომელსაც გზადაგზა ეხეჩებოდა რევოლუციის განვითარება. საკმაოა გავიხსენოთ აქ მხოლოდ ორი ფაქტი: ბრესტი და ახალი ეკონომიური პოლიტიკა, პირველი—საგარეო, ხოლო მეორე—საშინაო პოლიტიკის სფეროდან. როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში რევოლუცია იდგა დამარცხების საფრთხის წინაშე. თუ ეს არ მოხდა—ეს იმიტომ, რომ პარტია და ქვეყანა გაჰყვა ბელადის მიერ ნაჩვენებ გზას.

და სწორეთ ასეთი ბელადი დაჰკარგა რევოლუციამ. ამ დანაკლის მწარეთ გრძნობს, და რაც დრო გავა, კიდევ უფრო იგრძნობს თავის განთავისუფლებისათვის მებრძოლი მსოფლიო. გრძნობს მას პროლეტარიატი და მისი პარტია კომუნისტური პარტია, კომუნისტური ინტერნაციონალი. მაგრამ როგორც უნდა იყოს სიმძიმე დიდი ბელადისა და მასწავლებლის დაკარგვის, მებრძოლ თაობას, ჩვენ, დაგვრჩა ის იარაღი, რომლითაც იბრძოდა და დღემდი იმარჯვებდა რევოლუცია: დაგვრჩა ლენინიზმი.

თავის განთავისუფლებისათვის ამდგარი საერთაშორისო პროლეტარიატი და მისი ავანგარდი კომუნისტური ინტერნაციონალი ფიცს სდებენ დღეს მის კიდევ გაუცივებელ საფლავთან, რომ არ გადაუხვევენ მის მიერ ნაჩვენებ გზას.

ლენინი მოკვდა. გაუმარჯოს ლენინიზმს! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლუციას!.

ლენინი არის განსახიერება რუსეთის პროლეტარიატის—ახალგაზრდა კლასის, რომელიც პოლიტიკურათ, შეიძლება ითქვას, იმდენივე წლის არის, რამდენისაც ლენინი დაბადებიდან, მაგრამ ღრმად ნაციონალური კლასის, ვინაიდან მასში დაგროვილია რუსეთის მთელი განვითარება დღევანდელ დღემდე, მასშია მთელი მისი მომავალი, მისით ცხოვრობს რუსეთის ერი.

თავისუფლება რუტინისა და შაბლონისაგან, სიყალბისა და ცრუმორწმუნეობისაგან, აზრის სიმტკიცე, გამბედაობა მოქმედებაში, გამბედაობა, რომელიც არასოდეს არ გადადის წინდაუხედაობაში,—აი რა ახასიათებს რუსეთის პროლეტარიატს და მასთან ერთად ლენინს.

იმ გამოუცნობი, მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ გამოურკვეველი გზებით, რომლითაც ყალიბდება ადამიანის პიროვნება, ლენინმა ნაციონალური წრიდან შეისისხლხორცა ყველაფერი, რაც დასჭირდა მას უდიდესი რევოლუციონური მოქმედებისათვის.

სწორედ იმიტომ, რომ ლენინის საშუალებით სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელსაც დიდი ხანია აქვს თავისი ინტერნაციონალურ-თეორეტიული გამოხატულება, ჰპოვა პირველათ თავისი ნაციონალური განსახიერება, ლენინი პირდაპირი და უშუალო მნიშვნელობით გადაიქცა მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონურ ხელმძღვანელათ.

გ. ზინოვიევი.

მარქსი და ლენინი

რევოლუციონური მოძრაობის ისტორიამ იცის მრავალი ცნობილი სახელები, მებრძოლები კომუნისტური საზოგადოების ახალი ქვეყნისათვის. მაგრამ მათ შორის, ამ პატარა გორაკების შორის მაღლა არის ამართული ორი მწვერვალი. ეს ორი მწვერვალია **მარქსი და ლენინი.**

მარქსი და ლენინი არ არიან მოწინააღმდეგენი, პირიქით, ისინი ავსებენ და ანვითარებენ ერთმანეთს. ერთის შეხედვით ისინი—**მარქსი და ლენინი** თითქოს ორი მხარეა, ორი ატრიბუტია ერთ და იმავე პიროვნების. ამ პიროვნების სახელია პროლეტარიატი, რომელიც იბადება, ვითარდება და იბრძვის. ამ პროლეტარული აზრის გენიალური გამომხატველნი არიან **მარქსი და ლენინი.**

მეცხრამეტე საუკუნემ ჩვენ მოგვცა მარქსი. ეს იყო კაპიტალის ფართო ექსპანსიის დრო, მაგრამ დრო, როდესაც ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებას ჯერ კიდევ არ მიეღწია თავის კულმინაციურ წერტილამდე. პროლეტარიატს, რომელიც ჩაება ანდა იწყებდა ჩაბმას ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ, უნდა შეეცნო თავისი თავი, როგორც კლასი, უნდა გარკვეულიყო იმ პირობებში, რომელშიაც მას უხდებოდა ბრძოლა. მარქსი არ გამოჩენილა ერთბაშათ, ის გამოჩნდა მხოლოდ სენ სიმონის, ფურიეს, რობერტ ოუენის და სხვათა ხანგრძლივ უტოპიურ ხეტიალის შემდეგ, მაგრამ მან შეასრულა თავისი მისია.

მარქსმა მოგვცა ჩვენ კაპიტალისტური საზოგადოების შესანიშნავი ანალიზი, მან მოგვცა ჩვენ ხელში არიადნას ძაფი, რომელიც მიდის წარმოების და გაცვლა-გამოცვლის ბურჟუაზიულ დამოკიდებულებათა ლაბირინტში. ცდები ანალიზი გაეკეთებინათ კაპიტალისტურ ანარქიის ამ სამეფოსათვის, „ყველას წინააღმდეგ ყველას ომის“ სამეფოსათვის, იყო ჯერ კიდევ მარქსამდი, მაგრამ მათ არ ჰქონიათ მიცემული დამთავრებული სახე. მარქსმა კი წარმოგვიდგინა, დაგვიხატა ჩვენ კაპიტალისტური საზოგადოების სრული და ნათელი სურათი.

ამ მხრივ მან გააგრძელა კლასიკების, კერძოდ რიკარდოს მიერ დაწყებული საქმე; მაგრამ თუ მათ, ჰოლდერლინგის თქმით, აღმოაჩინეს გასაღები, მაგრამ ვერ იპოვეს ის კარები, რომელსაც გამოვყავართ ბურჟუაზიულ საზოგადოებიდან,—მარქსმა აღმოგვიჩინა ჩვენ ისინი.

იმის დამიხედვით, თუ როგორ აღმოაჩენს ხოლმე ასტრონომი, თავისი ტელესკოპით, ცის ეთერის განუსაზღვრელ სივრცეში სულ ახალ და ახალ პლანეტარულ სისტემებს, ვარსკვლავთა ახალ ქვეყნებს, მარქსმა თავისი დიალექტიური მეთოდით გადაგვიშალა ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნის მთელი ბუნება და შინაარსი და მის მაგივრათ აღმოგვიჩინა კომუნისტურ საზოგადოების ახალი ქვეყანა.

მარქსის გენიალური ნაწარმოები [illegible] არის მთელი „მეცნიერული პროცესი ბურჟუაზიულ-ეკონომიურ წესწყობილების წინააღმდეგ“! ეს პროცესი დამთავრდა ისტორიული სასიკვდილო განაჩენით ძველ საზოგადოებაზე. ვის უნდა მოეყვანა სისრულეში ეს განაჩენი? პროლეტარიატს, მაგრამ **არა მარქსის—თეორეტიკოსის, არამედ მარქსის—პრაქტიკოსის** მეთაურობით.

მეოცე საუკუნე, საუკუნე ფინანსიურ კაპიტალის და რევოლუციონურ ამბოხებების და კატაკლიზმების გვაძლევს ჩვენ ამ მარქს-პრაქტიკოსს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახით. შეიარაღებული ღრმა ცოდნით და ამბების და პირობების ბრწყინვალე მარქსისტული ანალიზის ნიჭით, ის სათავეში უდგება პროლეტარულ რევოლუციას. იქ, სადაც მენშევიკები და მეორე ინტერნაციონალის სხვა სუროგატები ქადაგებდენ სოციალურ ზავს, ლენინი ქადაგებდა სამოქალაქო ომს: ომი სასახლეების წინააღმდეგ, მშვიდობიანობა და ზავი ქოხებს ილიჩის სახით ჩვენ გვყავდა მარქსიზმის საუკეთესო თეორეტიკოსი თანამედროვე ეპოქისათვის და საუკეთესო პრაქტიკოსი. ის სწერს რევოლუციაზე, მაგრამ ურჩევნია მოახდინოს რევოლუცია, ვიდრე სწეროს იმის შესახებ. ის იყო უშუალო პროლეტარულ მოქმედების განხორციელება. მასში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილი და გადახლართული იყო თანამედროვე პოლიტიკურ მებრძოლის და პროლეტარულ რევოლუციის მოღვაწის საუკეთესო თვისებები. ის იყო ერთდაიმავე დროს კარგი ეკონომისტიც, კარგი ფილოსოფოსიც, კარგი ისტორიკოსიც და კარგი პრაქტიკოსიც. იშვიათად იყრის ხოლმე თავს ერთად ყველა ეს თვისებები.

მარქსი—ეს არის მატერიალისტათ გარდაქმნილი ჰეგელი, ეს არის—სოციალისტათ გარდაქმნილი რიკარდო.

ლენინი კი—არის პრაქტიკოსათ და რევოლუციის დახელოვნებულ სტრატეგათ გარდაქმნილი მარქსი.

მარქსი—ეს არის პროლეტარული თეორია; ლენინი კი—პროლეტარული თეორია პლიუს პროლეტარული პრაქტიკა, პროლეტარული მოქმედება. მარქსი არ უარყოფს და არ აბათილებს ლენინს, როგორც თეორია საერთოდ, არ უარყოფს და არ აბათილებს პრაქტიკას.

მდიდარი საუნჯე—ლენინიზმი, რომელიც დაგვიტოვა ლენინმა, არის მარქსიზმის მნიშვნელოვანი მხარე.

მარქსი და ლენინი—ეს არის ჩვენი თანამედროვე მებრძოლი პროლეტარიატი, მისი თეორია და პრაქტიკა.

ამით ყველაფერი არ არის ნათქვამი. მარქსის შესახებ ბევრს სწერდენ და კიდევ დასწერენ. ლენინის შესახებაც აგრეთვე ბევრს სწერდენ, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო მეტს დასწერენ, უფრო მეტს, ვიდრე მარქსზე სწერდენ. ლენინის შესასწავლათ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე დაარსდა სპეციალური ინსტიტუტი. ეს შესწავლა კიდევ უფრო გაღრმავდება შემდეგში.

მარქსი და ლენინი, როგორც დიდი ვარსკვლავები, ანათებენ და ჯერ კიდევ დიდხანს გაგვინათებენ ჩვენ გზას. ეს ორმაგი ვარსკვლავი, ორმაგი მნათობი გაგვინათებს ჩვენ კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ ჩვენი შემდგომი ბრძოლის გზას, რომელიც აღსავსე იქნება დაბრკოლებებით და დამარცხებებით, მაგრამ ის მაინც მტკიცეთ და შეურყევლათ მიგვიყვანს ჩვენ საბოლოო გამარჯვებამდი.

ლენინი მოკვდა, მაგრამ პროლეტარიატი არ გაუშვებს თავის ხელიდან კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ წმინდა ბრძოლის დროშას, სანამ არ აღგვის პირისაგან მიწისა კაპიტალისტურ მონობის და კაციჭამიობის უკანასკნელ ნაშთებს. ლენინი მოკვდა, მაგრამ ცოცხალია ლენინიზმი.

გაუმარჯოს ლენინიზმს—პროლეტარულ ბრძოლის და გამარჯვების თეორიას და პრაქტიკას.

ქ. ორაგველიძე.

დღეს დაგვისახელონ ჩვენ სახელი კაცობრიობის მთელ უახლოეს ისტორიაში, რომელიც ასე გამალებით ატოკებდა ამდენ მილიონი ხალხის გულებს, როგორც ლენინის სახელი. სხვა სახელს ვერვინ დაასახელებს. ლენინი—ეს არის არა მარტო მთელი პროგრამა, არამედ ეს არის მთელი პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში, ეს ის პერიოდი არის, როცა მის ნაცვლად კომუნიზმი მოვიდა. ყველაზე ძლევამოსილი, ყველაზე უფრო დიდი ფიგურა, რომელიც წამოაყენა თავისი თავის და მთელი კაცობრიობის განმათავისუფლებელმა მსოფლიო პროლეტარიატმა—აი, ვინ არის ვლადიმერ ილიჩი ლენინი.

ლ. ტროცკი.

აუნაზღაურებელი დანაკლისი

მოხდა ის, რაც ყველაზე ძალიან გვაშინებდა და გვაფიქრებდა. მოკვდა ამხ. ლენინი. გონება და აზრი ვერ შეეჩვევია იმ ამბავს, რომ აღარა გვყავს ცოცხლად ჩვენი საყვარელი და მარად სათაყვანებელი მასწავლებელი ლენინი. რამდენიც დრო გადის და რამდენიც უკვირდები მდგომარეობას, იმდენი სევდით გევსება გული, თვალს ცრემლი გადგება და არ იცი ვის მიმართო, ვის შესჩივლო ამ აუნაზღაურებელ დანაკლისის შევსება, უკან დაბრუნება. ამხ. ლენინი მთელი თავისი სიცოცხლით, მთელი თავისი არსებით მუშათა კლასს ეკუთვნოდა. მან არ იცოდა, რა იყო პირადი ბედნიერება. თავის თავზე სულ არ ფიქრობდა ის და მისი მრავალი წლების დაუღალავ მუშაობის საგანს შეადგენდა მხოლოდ მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება და ბედნიერება. ბევრჯელ, მეტად ბევრჯელ უნახავს და განუცდია ამხ. ლენინს ცხოვრების ცვალებადობა. დროთა ბრუნვაში მის გვერდზე და მის თვალწინ რამდენ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს უღალატია თავის სოციალისტურ რწმენისათვის და იგი აშკარა დაუძინებელი მტერი გამხდარა მუშათა კლასის. მაგრამ ამხ. ლენინს არც ერთი წუთის, არც ერთ დროს არ გადაუხვევია თავის რევოლუციონური გზისთვის, მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ გაშორებია. ამხ. ლენინი ერთად-ერთი უდიდესი რევოლუციონერი მარქსისტი იყო, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში მუშათა მოძრაობის მთელი სიმძიმე საკუთარი მხრებით და ძალღონით ზიდა. საერთაშორისო ომის დროს, როცა კაუცკიმ, გედმა, ვანდერველდმა და სხვა ეგრედწოდებულმა სოციალისტებმა სავსებით და სამუდამოდ ზურგი შეაქციეს მუშათა კლასს ბურჟუაზიული წესწყობილების გადასარჩენად, ამხ. ლენინმა იმავე მუშათა კლასს მოუწოდა იარაღით ხელში შებრძოლებოდა ყველა მჩაგვრელებს, მშრომელი ხალხის მტრებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო განატონებულ კლასისათვის, რომელიც იყო მიზეზი ყოველგვარი უთანასწორობის, ომებისა და უსაზღვრო ხოცვა-ჟლეტის. ამხ. ლენინის მოწოდებას ხალხი გაჰყვა. დაიწყო ჯერ თებერვლის და მას მოჰყვა ოქტომბრის დიდი რევოლუცია. მთელი რუსეთი ცეცხლში გაეხვია. რუსეთის მუშებს და გლეხებს განადგურება, ამოწყვეტა მოელოდა. ვინ იცის, მსოფლიო კონტრ-რევოლუციას იქნება კიდეც მოეყვანა სისრულეში თავისი განზრახვა და დაემარცხებია აჯანყებული რუსეთის მუშები, რომ მათ ისეთი გამოცდილი, ისეთი შორსმჭვრეტელი და რევოლუციისათვის თავდადებული ბელადი არ ჰყოლოდა როგორც ლენინი. ლენინს ამ უმაგალითო ბრძოლაში რკინისებური ნებისყოფით, დაუღალავი მხნეობით თითქმის ექვსი წელიწადი განუწყვეტლივ მუშაობაში არ დაუსვენია დღე და ღამე, მის თვალებს ძილი არ მიჰკარებია; ერთ წუთს არ უფიქრია თავის ჯანმრთელობაზე, რომ გაფრთხილებოდა და დაუნდობელმა სიკვდილმა აკი გადასწყვიტა შუაში მისი სიცოცხლე და არსებობა. ლენინი მოკვდა. მან ღირსეულად შეასრულა მასზე დაკისრებული უდიდესი ისტორიული დავალება, სულის უკანასკნელ ამოსვლამდე მისი ტანჯული გული მუშათა კლასის სიყვარულით ფეთქდა და იწოდა. მუშათა საქმეს შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე, თავისი დიდი ნიჭი, დიდი ცოდნა-გამოცდილება. აღარა გვყავს ლენინი. მაგრამ გვყავს უძლიერესი და სალი კლდეთ შეუდრეკელი კომუნისტური პარტია, რომელიც შექმნა ამხ. ლენინმა. დიდი, მეტად დიდი დანაკლისია ჩვენთვის, მუშებისთვის ამხ. ლენინის დაკარგვა, მაგრამ ლენინი, როგორც მასწავლებელი და უდიდესი ხელმძღვანელი მუშათა კლასის, უკვდავი იქნება ჩვენში. იმას, რასაც მარტო აკეთებდა ლენინი, დღეს მთელი კომუნისტური პარტია გააკეთებს და ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მიიყვანს მუშათა კლასს, მშრომელ მასას სოციალიზმამდე, კომუნიზმამდე.

ძველი მუშები:

მიხა ჩოდრიშვილი,
ანდრო ფირცხალავა,
გიორგი რთველაძე,
ლევან მიროტაძე,
სერგო მეგრელიშვილი,
ვანო ჯიჯილავა,
სტეფანე ჩაქრაძე,
გიორგი ჩხეიძე,
ვ. რუხაძე,
არაქელ ოქუაშვილი,
გ. ბარკაძე,
ბ. ხახაშვილი.

ლენინის გარდაცვალება და ლენინიზმის ამოცანა

ამხ. ზინოვიევის წერილი

მოსკოვი. 24 იანვარი. წერილში, რომელიც მოთავსებულია პრავდაში სათაურით „ლენინის გარდაცვალება და ლენინიზმის ამოცანა“ ამხ. ზინოვიევი სწერს:

„შეიძლება განა წარმოიდგინა ადამიანის, რომელსაც ოდესმე მოესმინოს ლენინი და დავიწყებოდეს ის? მისი ცოცხალი სიტყვა კი გაუგონია ასეულ ათას, თუ მილიონ ხალხს არა და თითეულს, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება უშუალოთ მოესმინა ვლადიმერ ილიჩი, ლენინი თითქო უთმობდა თავის ნაწილს. სადაც არ იყვნენ დღეს ეს ასეული ათასი, ურიცხვი ხალხი, რომელთაც მოუსმენიათ ლენინისათვის ან მარტო გაუგონიათ ლენინის შესახებ, რა რიგ გაფანტული არ იყოს ეს ხალხი დედამიწის პირზე,—მრავალი და მრავალი მათგან, თუ ყველანი არა, მოიგონებენ დღეს ვლადიმერ ილიჩს ღრმა სულიერი მადლობის წრფელი გრძნობით იმისადმი, ვინც, როგორც არავინ, ასეთის სიძლიერით აატოკა უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი კაცობრიობის გული. მთელ მსოფლიოში ყველა ენებზე, მილიონი მშრომელები დღეს იმეორებენ ერთ სახელს: „ლენინი“.

თითეულში, ვინც იცნობდა ლენინს, ან მოუსმენია მისთვის, პირველყოვლისა დღეს ლაპარაკობს პირადი მადლობის გრძნობა იმისადმი, ვინც ასეთ მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანა მუშათა კლასის იდეა, ვინც მთელი თავით აამაღლა კაცობრიობა. მით უფრო მეტის სიძლიერით ეს გრძნობა ლაპარაკობს იმ პარტიის ყველა წევრების გულში, რომელიც შექმნა ლენინის გენიამ, ვლადიმერ ილიჩის იმ მოწაფეების გულში, რომლებიც ოცი წლის და მეტის განმავლობაში მუშაობდენ მასთან გვერდში, მასთან ერთად განიცდიდენ დამარცხებათა სიმწარეს და გამარჯვებათა სიხარულს, სწავლობდენ მისგან, იცნობდენ მას არა როგორც მარტო გენიალურ ბელადს, არამედ როგორც ადამიანს და მასწავლებელს.

1883 წელს 14 მარტს, მარქსის გარდაცვალების დღეს, ენგელსი სწერდა მარქსის ძველ ამხანაგს—ზორგეს: „ყოველგვარი მოვლენები, თვით უსაშინელესი მათ შორის, ხდებიან ბუნებრივი კანონით და აღსავსე არიან ნუგეშით. ასეა ამ შემთხვევაშიაც. სამკურნალო ხელოვნებას, შესაძლოა გაეგრძელებია მისთვის, რამოდენიმე წლის ფიზიკური არსებობა, ცხოვრება უმწეო და მხოლოდ ექიმების ხელოვნებისათვის სასახელო, მომკვდარიყო არა უეცრად, არამედ ნელ-ნელა. მაგრამ ასეთი სიცოცხლე ჩვენმა მარქსმა არ მიიღო. ასეთი ცხოვრება, როდესაც მის წინაშე იყო დაუმთავრებელ სამუშაოს მთელი რიგი, ჯოჯოხეთური წვალების განცდა მათი ბოლომდე მიყვანის შეუძლებლობის გამო—მისთვის ათასჯერ უფრო მძიმე იყო, ვინემ მშვიდი სიკვდილი. ჩემი აზრით, ყველა ამ განცდების შემდეგ, სხვა გამოსავალი არ იყო“.

დღეს, როდესაც ჩვენს წინაშე დევს ვლადიმერ ილიჩის ცხედარის საექიმო განკვეთის მშრალი ოქმი, გვიხდება, საუბედუროთ, ენგელსის ამ სიტყვების გამოყენება ლენინის მიმართ. ლენინმა სკლეროზმა—უზომოდ მძიმე მუშაობისაგან ძალების ზეადამიანურად დაჭიმვის შედეგმა—ვლადიმერ ილიჩის მდგომარეობა გახადა უიმედო თვით იმ უკანასკნელ მომენტამდე, რომელიც მოხდა 21 იანვარს და რომელმაც მიგვიყვანა კატასტროფამდე ლენინი, რომელიც მოკლებულია საშუალებას ილაპარაკოს, სწეროს, წაიყვანოს ხალხი ბრძოლაში, იმუშაოს და იმუშაოს. განა შეიძლება წარმოიდგინოთ ამაზე უფრო მეტი ტანჯვა ამ მეამბოხე ბუნებისათვის, ამ მეამბოხესათვის ყველა მეამბოხეთა შორის, ან მოაზროვნესათვის ყველა მოაზროვნეთა შორის? მაგრამ გული გავიმაგროთ დღეს, თვითეულმა თვითონ განიცადოს ის გრძნობა, რომელსაც იწვევს ჩვენში ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალება. ვცადოთ უკვე ეხლა, მთელის სიმშვიდით და სიმტკიცით, რომელსაც გვასწავლიდა ჩვენ ვლადიმერ ილიჩი, დავისახოთ ამოცანები, რომელიც წამოაყენა ლენინელების წინაშე ლენინის გარდაცვალებამ.

უკანასკნელ დრომდის ჩვენ ყველას, მთელს პარტიას გვწამდა, რომ ვლადიმერ ილიჩი დაუბრუნდებოდა კიდევ მუშაობას. გვწამდა: ლენინი ხომ ათჯერ და ასჯერ ახერხებდა იმის გადაჭრას, რის გადაჭრაც ერთი შეხედვით შეუძლებელი იყო.

ეხლა აღსრულდა. პარტიამ ულენინოთ უნდა იმუშავოს. „პროლეტარიატის მოძრაობა წავა თავის გზით, მაგრამ აღარ იქნება უკვე ცენტრი, რომლისკენაც ისწრაფოდენ დახმარებისათვის კრიტიკულ მომენტებში ფრანგები, რუსები, ამერიკელები, გერმანელები, რომელნიც იღებდენ მისგან სრულიად ნათელ და სწორ რჩევას, რომელთა მიცემა შეეძლო მხოლოდ გენიოსს—ადამიანს, რომელიც სავსებით ფლობს საგანს“,—ასე სწერდა ენგელსი მარქსის გარდაცვალების დღეს. ამ დაობლების გრძნობას განვიცდით დღეს ჩვენ ყველანი. ამოცანები რომელნიც იდგენ მარქსისტების წინაშე 1883 წ. მარქსის სიკვდილის შემდეგ, უფრო რთული და ძნელი გახდენ. მაგრამ რამდენათ უფრო ძნელი და რთულია ჩვენს—მარქსისტ-ლენინელების წინაშე მდგარი ამოცანა 1924 წ. როდესაც ჩვენ მიგვატოვა ლენინმა!

მარქსის გარდაცვალების შემდეგ მარქსისტების წინაშე იდგა პირველ რიგში თეორეტიული ამოცანები. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა განიცდიდა კრიზისს. პირველი ინტერნაციონალი დაიშალა, ხოლო მეორე ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. საფრანგეთის მუშათა მოძრაობა—და განა მარტო იგი,—კიდევ უილაჯობის ხანაში იმყოფებოდა პარიზის კომუნის განადგურების შემდეგ 1871 წელს. საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობა ის იყო გამოდიოდა ფართო გზაზე. მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რათა მარქსის მიერ დატოვებული დიდი თეორეტიული მემკვიდრეობა გამხდარიყო მუშათა ფართო მოძრაობისათვის მისაწვდომი.

მარქსისტ-ლენინელების ამოცანა დღეს გაცილებით რთული და პასუხსაგებია. საერთაშორისო პროლეტარული რევოლუცია დაიწყო და პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ერთ ერთ დიდ ქვეყანაში. ამავე დროს საერთაშორისო მაშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებისათვის დიადი ბრძოლის სიძნელენი ჯერ კიდევ წინ არის. მეორე ინტერნაციონალი თავისი მიაზმებით ჯერ კიდევ სწამლავს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას.

ვლადიმერ ილიჩის მიერ შექმნილი კომინტერნის ამოცანები დღითი დღე რთულდება. სავალი გზა უფრო და უფრო მიხვეულ-მოხვეული და მძიმე ხდება“.

(დასასრული არ არის მიღებული).

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ტფილისის კომიტეტი აუწყებენ ყველა მუშებს, გლეხებს და მშრომელებს, რომ 1924 წ. 21 იანვარს, საღამოს 6 საათ. 50 წ., გორკაში (მოსკოვის მახლობლად) გარდაიცვალა

საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი ბელადი, ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი და ხელმძღვანელი

ვლადიმერ ილიას-ძე
ულიანოვ-ლენინი

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს ყველა მშრომელებს და მოქალაქეებს, რომ ა. წ. 21 იანვარს საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე გორკში, მოსკოვის მახლობლად, სასუნთქავ ცენტრის სიდამბლისაგან გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარიატის და ჩაგრულთ ხალხთა გენიალური წინამძღოლი, ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი და ხელმძღვანელი

ვლადიმერ ილიას-ძე
ლენინი (ულიანოვ)

საქ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ამით აუწყებს საქართველოს ყველა მუშასა და მოსამსახურეს, რომ 21 იანვარს, საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე სასუნთქავი ცენტრის სიმდაბლისაგან გარდაიცვალა ძვირფასი მასწავლებელი და ბელადი

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

დაკრძალვის დღეს ყველგან მოეწყობა სამგლოვიარო მსვლელობები და პროცესები.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი და მისი თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საქართველოს ყველა მუშა მოსამსახურეთ, რომ 1924 წლის 21 იანვარს, საღამოს 6 საათს და 50 წუთზე გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის უდიდესი ბელადი

ვლადიმერ ილიას ძე
ულიანოვი (ლენინი)

862—1—1

სახ. ლხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მისი თანამშრომლები აუწყებენ ყველა მშრომელთ, რომ 21 იანვარს საღამოს 6 საათზე 50 წ. გორკაში (მოსკოვის მახლობლად) გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი მასწავლებელი ბელადი და ახალი ქვეყნის მშენებელი

ვლადიმერი ილიას ძე
ულიანოვი (ლენინი)

დაკრძალვა მოხდება 26 იანვარს მოსკოვში

861—1—1

ჩვენი ილიჩის ხსოვნას

ხვალ წითელ მოსკოვის პროლეტარიატი მიაბარებს მიწას და ფიზიკურად დაასაფლავებს იმ ადამიანს, რომლის მთელი წარსული ისტორია, ცხოვრება, ფიქრი, აზრი და დაუშრეტელი ენერგია მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის, მთელი მსოფლიოს ღარიბ-ღატაკთა, მაშვრალთა და დამონებულთა საკეთილდღეო ბრძოლებში ჩატარდა. 27 იანვარს, ქალაქი მოსკოვი და მასთან მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი უკანასკნელად გამოემშვიდობება ადამიანს, რომელმაც ოქტომბრის რევოლიუციას ხორცი შეასხა, სიტყვა საქმედ აქცია და გაფთრებულ სამოქალაქო ომის ხანაში ყოველ მხრიდან შემოსეულ მტერთა ბანაკს მუსრი გაავლო, და დაანახვა იმ ცრუ სოციალისტებს, რომლებიც სიტყვით მუშათა ინტერესებს იცავენ და საქმით კი საერთაშორისო ბურჟუა-კაპიტალისტების ყურმოჭრილი მონები არიან, რომ ყოველივე ის, რასაც ისახავს მარქსიზმი, შესაძლებელია ცხოვრებაში გატარდეს და ჰაერში გამოკიდებული არ უნდა რჩებოდეს.

ყველა მშრომელი,—ღარიბ-ღატაკი, გლეხი და პატიოსანი მოქალაქე, დასტირიან მას და შავ ძაძებში არიან გამოხვეული, რომ უკვე აღარ ჰყავთ ბელადი ვლადიმერ ილიჩი. დასტირის ამ ცხედარს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი, რომელსაც ილიჩმა გზა გაუკაფა, ბნელეთის ჯურღმული გაუნათა და აჩვენა მაგალითი მშრომელთა ხელისუფლების განხორციელებისა.

ხვალ ასაფლავებენ იმ დიდებულ და დაუდგრომელ ადამიანს, რომელიც 30 წლის განმავლობაში უსამართლობას, ხალხის სიბნელეს, სიდუხჭირეს, სიღატაკეს, ჩაგვრას, მონობას და ადამიანთა პირუტყვულ ცხოვრებას გაფთრებული ებრძოდა როგორც სიტყვით, ისე საქმით.

საბჭოთა რესპუბლიკის კავშირების ყოველი პროლეტარი და ღარიბ-ღატაკი გლეხი დასტირის თავის ბელადის, ილიჩის ცხედარს, ბელადის, რომელმაც მართლა მისცა ამ რესპუბლიკების ერებს საშუალება თავისუფლებისა, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად და კულტურულად.

მან მისცა გლეხობას უფლება და პრაქტიკულად განახორციელა ცხოვრებაში ის, რომ მემამულეების მიწები გლეხობას ჩაბარა. აღარ არსებობს დღეს ის ექსპლოატაცია, რომლის საშუალებითაც მემამულეები უხარ-მაზარ საბჭოთა ფედერაციის ტერიტორიაზე ამ ღარიბ-ღატაკთა ნაოფლარით სუქდებოდნენ და საზღვარგარეთის კუროროტებზე დროებას ატარებდნენ.

აი, პროლეტარიატის ამ ნამდვილმა ბელადმა და თავგამოდებულმა მებრძოლმა მისცა საბჭოთა ფედერაციის მუშებსა და გლეხებს საშუალება განეხორციელებინათ ის, რასაც დიდი ოქტომბერი ეწოდება.

ვლადიმერ ილიჩის გენიალური ნიჭის მეოხებით მოიგერია რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხ-კაცობამ ის აურიცხველი მტრის ხროვა, რომელიც შინიდან და გარედან ჰყავდა მას შემოსეული. ამ მსოფლიო ბელადმა და მისმა გამჭრიახობამ შექმნა ის ერთსულოვნება უკიდურესს კრიზისის დროს, როცა რუსეთის უზარმაზარი ტერიტორია ბლოკადის რკალებში იყო მომწყვდეული და გარედან არაფერი შემოდიოდა.

მან ჩააბარა საბჭოთა ფედერაციის სახელმწიფოებრივი ბედ-იღბალი მუშებს და გლეხებს.

და განა შემიძლია მე, პატარა ადამიანმა გამოვთქვა ის, რაც შენ, დიდებულო ილიჩო, ღვაწლი მიგვიძღვის მთელი კაცობრიობის წინაშე?! ეს ისტორიკოსის საქმეა.

მე კი მაგონდება ის წარსული, როცა სხვა ამხანაგებთან ერთად 1906 წელში ფინლიანდიის ერთ პატარა ქალაქში (კუოკალაში) შენს მიერ გამართულ პატარა ჯგუფის კრებას დავესწარი. მაგონდება, თუ როგორ გვამხნევებდი მაშინ ჩვენ, სტოლიპინის გაფთრებული რეაქციის დროს! მაგონდება ის წამი, როცა ამ პატარა ჯგუფმა ჩვენდამი ამხანაგური მადლობა მოვისმინე შენი მხრივ; ისიც არ დამვიწყებია, როცა გვამხნევებდი, მრავალ ტეხნიკურ სამუშაოს გვაბარებდი რომ შენი საყვარელი გაზეთების („ვპერიოდი", „ბორბა" და სხვ) ტეხნიკურ ბედ-იღბალს ჩვენ ისევ გავძღოლოდით ქალაქ ვიბორგში. მაგონდება შენი ხელთნაწერი ქიმიკური კარანდაშით, წვრილი, ლამაზი „პოჩერკი", ვინაიდან შენ კარგად გქონდა გათვალისწინებული ასოთ-ამწყობთა ბედკრული იღბალი და შედიოდი ჩვენს მდგომარეობაში და ამით ჩვენც გვიადვილებდი შენი უკვდავი ნაწარმოების წყობასაც; ისიც მახსოვს, თუ როგორ ვეცილებოდით ერთი-მეორეს ამხანაგები შენი ნაწერების აწყობაზე; მაგონდება ისიც, თუ როგორ მივეპარებოდი ამხანაგ შლიხტერთან და მიუტანდი მას შენთვის გადმოსაცემად ქ. ვიბორგის ერთ-ერთ რაიონში, რკინისგზის „ბუდკის" სიახლოვეზე სადგომში, შენს კორექტურას; მახსოვს, 1906 წლის ფინლიანდიის სუსხიანი ზამთარი, როცა ხშირად ოთახის გასათბობი შეშაც არ მოგეპოვებოდა და ტანისამოსში გამოხვეული ხალხის პირ-ვარამს შენი ბასრი კალამი მალამოს ადებდა...

და ყოველივე ის, რაც შენ უამაგე მსოფლიო პროლეტარიატს, განა შეიძლება დაფასდეს?

შენ უკვე აღარ ხარ ჩვენთან, შენ ხვალ გაგაცილებს პროლეტარიატი დასაკრძალავად. მაგრამ საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკათა და მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი, მედგრად დაიცავს იმ ანდერძს, რომელიც შენ, დიდებულო ილიჩო, მას დაუტოვე, და ყველა მტრებს მუშათა და გლეხთა დიქტატურის სათანადო პასუხს გასცემს და თავის ადგილს მიუჩენს.

მტერთა გველური სისინი უკვე გვესმის, მაგრამ მუშათა კლასი მედგრად იქნება იმ მაღლობებზე, რომელიც შენ დაგვიტოვე დასაცავად.

მუშა-ასოთ-ამწყობი ფ. ჯაში (ყაზანი)

ლენინის მთელი სახელმწიფო ნიჭი იმაში მდგომარეობს, რომ მან იცის, რომ მასა, მილიონი მშრომელები, გააკეთებენ იმას, რაც არის საჭირო, და რომ მთავარი და ამომწურველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი მასა, ქვედა ფენებამდი, ძირამდი, ჩაბმული იქნას სახელმწიფო მუშაობაში.

მუშებისა და გლეხების რუსეთმა ყოველგვარი მონობისაგან განთავისუფლების ტანჯვა-წამებაში აღზარდა მსოფლიო განთავისუფლების საუკეთესო მუშაკი.

ლ. კამენევი.

რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს მოწოდება

მიმართვაში პროფკავშირების ყველა წევრებისა და კავშირების ცენტრალურ გამგეობებისადმი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭო წერს:

„21 იანვარს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიიჩ ლენინი. უდიდესი მწუხარებით და ტკივილით ივსება მთელი ქვეყნის პროლეტარების გული.

მოკვდა ლენინი—მუშათა კლასის სიამაყე და სიყვარული, საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობის მეთაური, პროლეტარულ ავანგარდების ბელადი მთელს მსოფლიოში მათ ბრძოლაში კომუნიზმისთვის.

ფაბრიკებში და ქარხნებში და ბურჟუაზიული ქვეყნის სოფლებში, სადაც დაჭიმულია მუშათა კლასის ნერვები და კუნთები, ყოველგან, სადაც პროლეტარიატი ემზადება უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ—მილიონი, ათეული მილიონი პროლეტარები დასდებენ ფიცს, რომ დარჩებიან გარდაცვლებული ბელადის ხსოვნის ერთგული და აწარმოებენ მუშათა კლასის ბრძოლას მის მიერ ნაჩვენები გზით, მისი ანდერძის თანახმად.

დიდია, განუზომელია რუსეთის პროლეტარიატის დანაკლისი. რუსეთის მუშათა კლასმა დაკარგა საუკეთესო ამხანაგი მრავალი წლის კლასობრივ ბრძოლებში, დაჰკარგა ბელადი ვის ფხიზელ თვალს გენიალურ ჭკუას და ფოლადის ნებისყოფას მუდამ ძამს, მრავალი წლების განმავლობაში, მიყავდენ ის გამარჯვებიდან გამარჯვებამდი სოციალური რევოლიუციის გზაზე.

არავინ მასზე უკეთ არ იცნობდა და ესმოდა რუსი მუშა, მისი მუშაობა ფაბრიკაში და ქარხანაში, მისი ყოფა-ცხოვრება სახლში.

არავინ მასზე უკეთესად, მუშათა კლასისათვის უდიდესად მძიმე დროში, არ გამოხატავდა ასე მთლიანად, ასე ნათლად და მკვეთრად მის კლასობრივ მისწრაფებებს და იდეალებს.

არავინ მასზე უკეთესად არ გრძნობდა იმას, რომ თანამედროვე რუსეთის პირობებში პროლეტარიატი შესძლებს გამარჯვებას მხოლოდ გლეხობასთან კავშირით. კავშირი გლეხობასთან არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით შეადგენდა ვლადიმერ ილიჩის ყოველდღიური ზრუნვის საგანს.

აკავშირებდა და მიყავდა რა ბრძოლაში რუსეთის მუშათა კლასი, ვლადიმერ ილიჩი ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოწინააღმდეგე იყო ცდების—პროფკავშირების მუშაობის ცენტრში დასმულიყო მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლა შაურისათვის, მცირე დათმობებისათვის ბურჟუაზიის მხრივ. ის დაუღალავად მოაგონებდა პროფესიონალურ კავშირებს, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის ძირითადი გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით.

მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა რუსეთის პროფკავშირებმა თავისი რიგებიდან განდევნეს „დამოუკიდებლები", რომლებიც ცდილობდნენ წაღმა დაებრუნებიათ პროფესიონალური მოძრაობა, რომლებიც ხრწნიდნენ მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას. „პროფესიონალური კავშირები—არის კომუნიზმის სკოლა". ვლადიმერ ილიჩის ამ ლოზუნგით კავშირები ახდენდნენ თავისი რიგების გადახალისებას პროლეტარული რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების გასამაგრებლათ და ამავე დროს ყველა ზომებს იღებდნენ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ფაბრიკებში და ქარხნებში.

საბჭოთა ქვეყნის მრავალმილიონიანი მუშათა მასა უსაზღვრო სიყვარულით და ნდობით იყო გამსჭვალული ლენინისადმი. ეს ნდობა და სიყვარული პროფკავშირებმა გადაიტანეს აგრეთვე იმ გმირულ დიდ პარტიაზე, რომელიც შექმნა ლენინმა, რომელიც მტკიცედ და უშიშრად, ძველი სამყაროს ნგრევის გუგუნში აწარმოებდა პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს, ანხორციელებდა ლენინის იდეებს.

ლენინი აღარ გვყავს. მაგრამ მის მიერ შექმნილი მტკიცე და შეურყეველია. მის მიერ დაწყებული საქმე სწორ გზაზეა, საიმედო ხელშია.

პროლეტარიატისათვის ამ მძიმე დღეებში დე ნუ ექნება ადგილი სასოწარკვეთილებას მუშათა რიგებში. დე თითეულ მუშას და მოსამსახურეს ახსოვდეს, რომ საუკეთესო ძეგლი ილიჩისათვის იქნება შეურყეველი სიმხნევე და რწმენა რევოლიუციონურ საქმეში და უფრო ენერგიული და დაუღალავი შრომა ფაბრიკებში და ქარხნებში. ლენინის იდეალებისათვის ბრძოლისაკენ, მუშათა რიგებში დისციპლინისა სიმტკიცის გაძლიერებისაკენ, დაუღალავი შრომისაკენ მოუწოდებს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს—კავშირის წევრებს, ბელადის და მასწავლებლის ვლადიმერ ილიჩ ლენინის სიკვდილი".

ლენინი ახლა, ალბათ, ყველაზე პოპულიარული სახელია მსოფლიოში, მაგრამ იმ დროს, როცა სხვა დიდ სახელებს ერები ხშირად წყევა-კრულვით იხსენიებენ, ლენინის სახელი კბილთა ღრჭენას იწვევს მხოლოდ ექსპლოატატორებსა და მჩაგვრელებს შორის, სამაგიეროდ ხასოებითა და სიყვარულით იმეორებს მის სახელს სხვადასხვა ფერის, სისხლის და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ურიცხვი ხალხი. ლენინი წარმოადგენს განთავისუფლების სიმბოლოს ყველა დამცირებულთა და შეურაცხყოფილთათვის მთელს დედამიწის პირზე და ამასთანავე ის არის ძალადობისა და ჩაგვრის ყოველგვარ ფორმებთან შეურიგებელი ბრძოლის სიმბოლო.

ი. სტეკლოვი.

რუსეთის მელითონეთა კავშირის მოწოდება

ამხანაგებო მელითონეებო!

ჩვენ, მშრომელ ხალხს თავს დაგვატყდა მძიმე უბედურება—გარდაიცვალა მუშათა კლასის მეგობარი და მასწავლებელი, მოკვდა ჩვენი ბელადი დიდი ლენინი, რომლის სახელი რისხვა იყო მთელი ქვეყნის ექსპლოატატორებისათვის და ბრძოლის დროშა, ბრძოლის იმედი ჩვენთვის, პროლეტარებისათვის. ლითონზე მომუშავეთა სრულიად რუსეთის კავშირის ცენტრალური კომიტეტი ამ მძიმე მომენტში მიმართავს ყველას, სადაც ძგერს მუშა მელითონეს გული, მოწოდებით სიმტკიცისაკენ, უფრო მეტი შეკავშირებისა და მთლიანობისაკენ.

დე ნუ შეირყევა მელითონეს ხელში ნურც შრომის ჩაქუჩი და ნურც ბრძოლის დროშა.

ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ დაგვიტოვა დიდი მემკვიდრეობა—კლასობრივი თეორიის, კლასობრივი სტრატეგიის, მტრებთან ბრძოლის პრაქტიკის იარაღი, ის იარაღი, რომლითაც ჩვენ ლენინის წყალობით გავიმარჯვეთ და მომავალშიც გავიმარჯვებთ.

ჩვენ, მუშებმა შევითვისეთ ილიჩის პრინციპები, მისი მეთოდები,—ამაშია პროლეტარიატის გამარჯვების საწინდარი.

ლენინი მოკვდა, თავისი ბელადის და მასწავლებლის მიერ აღზრდილი და გაკაჟებული მუშათა კლასი ცოცხალია და ისე მტკიცეა, როგორც სალი კლდე, ბრძოლაში გამობრძმედილი, ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია არ მიეცემა სასოწარკვეთილებას, მასში ძლიერია ნებისყოფა ლენინის იდეალებისათვის საბრძოლველად. ლენინი მოკვდა. გაუმარჯოს და დე სამუდამოთ იცოცხლოს ლენინმა მუშათა კლასის მეხსიერებასა და გულში.

ლენინი მოკვდა. გაუმარჯოს ლენინს, დე კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩვენი ბრძოლა კომუნიზმისათვის, ჩვენი საბჭოთა წყობილების გაუმჯობესებისათვის, ჩვენი სოციალისტური მეურნეობის აღორძინებისათვის, ჩვენი მატერიალური და კულტურული აყვავებისათვის.

დე ლენინის სიკვდილის დღე გადაიქცეს მელითონეების კოლექტიური ფიცის დღედ, რომ ისინი ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს ბოლომდი მიიყვანებენ.

რუსეთის მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი

ლეპსი, ვორობიევი, აქსენტიევი, ლისა; მიხაილოვი, კოზლოვი, რაბინსონი.

რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის პეტროგრადის კომიტეტის მოწოდება

რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის პეტროგრადის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს, რომელშიაც მოუწოდებს მათ ფიცი დასდონ ილიჩის კუბოსთან იმის შესახებ, რომ ისინი გააგრძელებენ მის საქმეს რუსეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით.

ცნობა ამხ. ლენინის ავადმყოფობის და გარდაცვალების შესახებ

მოსკოვი. 25 იანვ. ავადმყოფობა დაეწყო 1922 წ. დამლევს. ავადმყოფობის დასაწყისის სისწორით განსაზღვრა ძნელია, ვინაიდან იგი ძალიან ნელა ვითარდებოდა და თანდათან ღრღნიდა მის მძლავრ ორგანიზმს მის მოქმედების გაფურჩქვნის ხანაში, ამასთანავე თვით ვლადიმერ ილიჩი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა თავის ავადმყოფობას. 1922 წ. მარტში ექიმებმა, რომელთაც ვლადიმერ ილიჩი გასინჯეს, ვერ შესძლეს აღმოჩენა რაიმე ორგანიულ დაზიანებათა როგორც ნერვიულ სისტემის, ისე შინაგან ორგანოების მხრივ. მაგრამ ძლიერი თავის ტკივილის და დაქანცულობის მოვლენების გამო, მას წინადადება მიეცა დაესვენებია რამდენიმე თვის განმავლობაში, რის გამოც ის გადასახლდა გორკაში.

მაგრამ ჩქარა ამას შემდეგ, მაისის დასაწყისში, თავი იჩინეს ტვინის ორგანიულ დაავადების ნიშნებმა. პირველი შეტევა გამოიხატა საერთო სისუსტესა, მეტყველების დაკარგვასა, მარჯვენა კიდურების მოძრაობის შესუსტებაში. ეს მოვლენები გაგრძელდენ 3 კვირის განმავლობაში. შემდეგში მეორდებოდენ ასეთივე მოვლენები; ეს მოვლენები პერიოდულად მეორდებოდენ მაისის, ივნისის და ივლისის განმავლობაში და გრძელდებოდენ ნახევარი საათიდან ორ საათამდე, მაგრამ მუდმივი და მტკიცე ხასიათი მათ არ ჰქონიათ.

მძლავრი ორგანიზმის და კარგი მოვლის წყალობით ივლისში უკვე დაეტყო გაუმჯობესება, რომელიც იმდენად თვალსაჩინო გახდა აგვისტოში და სექტემბერში, რომ ოქტომბერში ვლადიმერ ილიჩი დაუბრუნდა თავის მოღვაწეობას, თუმცა არა წინანდებურ სიძლიერით. ნოემბერში მან წარმოსთქვა 3 დიდი საპროგრამო სიტყვა.

დეკემბრის დასაწყისიდან შეტევები განახლდენ, რაც გამოიხატა მარჯვენა კიდურების გარდამავალ სიდამბლეში, ხოლო 16 დეკემბერს დაიჩემდა ძლიერი სიდამბლე მარჯვენა ფეხსა და ხელში, რამაც აიძულა ავადმყოფი ლოგინში ჩაწოლილიყო. 1923 წ. იანვარსა და თებერვალში ვლადიმერ ილიჩის ჯანმრთელობაში შემჩნეული იყო მერყეობა ხან გაუმჯობესებისაკენ, ხან გაუარესებისაკენ. თებერვალში ვლადიმერ ილიჩი კიდევ აჩერებდა თავის პოლიტიკურ წერილების კარნახს.

9 მარტს დაიწყო მძიმე შეტევა, რაც გამოიხატა სხეულის მარჯვენა ნახევრის სიდამბლეში და მეტყველების მკვეთრად შეცვლაში, რამაც ერთბაშად მტკიცე ხასიათი მიიღო. მაისის შუა რიცხვებში, იმ მიზნით, რომ ჰაერი სასურველ გავლენას მოახდენდა ავადმყოფზე, ვლადიმერ ილიჩი გადაყვანილ იქნა გორკაში, სადაც დარჩა ავადმყოფობის უკანასკნელ დრომდე. გორკაში თავდაპირველად ცოტაოდენი გაუმჯობესება დაეტყო მას, მაგრამ ივნისის მეორე ნახევარში ავადმყოფობის პროცესი გამწვავდა აღგზნების და უძილობის მოვლენებით, რაც ერთ თვემდე გაგრძელდა. ივლისის მეორე ნახევარში ავადმყოფობის მოვლენები მიყუჩდენ. და ამ დროიდან დაიწყო ნელი, მაგრამ თანდათანობითი გაუმჯობესების პერიოდი. ყოველ დღე ვლადიმერ ილიჩი დადიოდა სასეირნოთ მოძრავ სავარძელით ბაღში, სულიერი განწყობილება კარგი ჰქონდა. ჭამის მადა და ძილი ნორმალური ჰქონდა. თანდათან მან დაიწყო სიარული სხვისი დახმარებით, ხოლო აგვისტოს დასაწყისში შესაძლებელი გახდა მეტყველების დაკარგულ უნარის აღდგენის ცდა. ამ მიზნით სწარმოებდა ვარჯიშობა სისტემატიურად თავდაპირველად ექიმების მიერ, ხოლო შემდეგ ვლადიმერ ილიჩის მეუღლის—ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მიერ ისევ ექიმების ხელმძღვანელობით. ავადმყოფის ფიზიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა თავიდანვე იკისრა მისმა დამ მარია ილინიშნამ და დაუღალავად განაგრძო ეს საქმე ბოლომდის. სექტემბერში ვლადიმერ ილიჩს შეეძლო სხვის დაუხმარებლად ასვლა-ჩამოსვლა კიბეზე, ისე, რომ არ დაყრდნობოდა სახელურს. სექტემბერში ის თავისუფლად დადიოდა ოთახში ჯოხით ხელში.

სექტემბერში ის თითქმის ყოველ დღე დადიოდა სასეირნოთ ტყეში ავტომობილით და რჩებოდა ჰაერზე 2—3 საათი. მეტყველება თანდათან გაუმჯობესდა. ვლადიმერ ილიჩი ყოველ-დღე იღებდა გაზეთს, ათვალიერებდა მას და თითით უჩვენებდა იმ წერილზე, რომელიც მისთვის უნდა წაეკითხათ. ძალიან დაინტერესებული იყო მათი შინაარსით და ჩქარა დაიწყო მან ვარჯიშობა მარცხენა ხელით წერის შესასწავლად.

ზამთრის მზიან დღეებში, ვლადიმერ ილიჩი დადიოდა მარხილებით ტყეში მონადირის თანხლებით: ამ სეირნობის დროს ის კარგადა გრძნობდა თავს და მხიარულად იყო. შობას დადგმული იქნა შობის ხე ბავშვებისათვის. დაესწრო ვლადიმერ ილიჩიც; ის მხიარულად იყო და ზრუნავდა იმაზე, რომ ბავშვებისათვის ხელი არ შეეშალათ თამაშის დროს.

მოსალოდნელი იყო, რომ ვლადიმერ ილიჩის ჯანმრთელობა გაუმჯობესდებოდა, თუმცა თანდათან, მაგრამ წინასწარი ნიშნების მოკლე ხნის შემდეგ, 21 იანვარს საღამოს მოხდა კატასტროფა: თითქმის ერთი საათი გაგრძელდა მწვავეთ განვითარებული და სწრაფად მიმდინარე პერიოდი, რაც გამოიხატა ცნობიერების სრულ დაკარგვასა და კუნთების საერთო დაჭიმულობაში. საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე ავადმყოფი გარდაიცვალა სუნთქვის სიდამბლის და ჰიპერტერმიის გამო (სხეულის ზედმეტად გაცხელების—42,3°-დე). სიკვდილის დასასრული გათვალისწინებული იყო პროფესორ ფერსტერის, ოსიპოვის და ექიმ ელისტრატოვის მიერ, რომლებიც ავადმყოფთან იყვნენ უკანასკნელ წუთამდე და უწევდენ მას დახმარებას.

ვლადიმერ ილიჩის დაავადების დასაწყისიდან და ავადმყოფობის მიმდინარეობის დროს მიღებული იყო ყოველგვარი ზომები, რათა გამორკვეული ყოფილიყო ავადმყოფობის ხასიათი და აღდგენილი ყოფილიყო მისი ჯანმრთელობა. ავადმყოფს მუდმივად თვალყურს ადევნებდენ ექიმები. პერიოდულად იმართებოდა კონსილიუმები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ რუსეთის და საზღვარგარეთელი პროფესორები და ექიმები, რომელთა ერთი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ავადმყოფის მკურნალობაში. უკანასკნელი კონსილიუმი გაიმართა 1924 წ. 15 იანვარს. ვლადიმერ ილიჩის მკურნალობასა და კონსილიუმებში მონაწილეობდენ პროფესორები: დარკშევიჩი, ფერსტერი, კლემპერერი, ბორხარდი, როსოლიმო, კრამერი, მინკოვსკი, შტრიუმპელი, გენშენი, ნონე, ბუმკე, ვეისბროტი, ავერბახი, ბეხტერევი, ოსიპოვი, ფელდბერგი, ექიმები: კოჟევნიკოვი, [illegible], ელისტრატოვი, [illegible], დობროგაევი, პოპოვი და ჯანმრთელობის სახ. კომისარი სემაშკო.

განსვენებულის გვამის განკვეთა მოახდინა 22 იანვარს პროფესორმა აბრიკოსოვმა, პროფესორ ფერსტერის, ოსიპოვის, ვენშენის, ვეისბროტის და ბუნაკის, ექიმ გოტიეს, ელისტრატოვის, როზანოვის, ობუხის და ჯანმრთელობის სახ. კომისარის სემაშკოს თანდასწრებით. განკვეთის დროს გამოირკვა—მკვეთრად გამოხატული საერთო სკლეროზი (სისხლის ძარღვების დაავადება), არტერიო-სკლეროზის ნიადაგზე მომხდარი გარბილებათა ღრმა კერები თავის ტვინის მარცხენა და ნაწილობრივ მარჯვენა ჰემისფეროებში და ახალი სისხლის ჩაქცევა ოთხ გორაკის ნიდამოში.

განკვეთა და ავადმყოფობის ისტორია ამტკიცებს, რომ ვლადიმერ ილიჩის ერთად-ერთი ავადმყოფობა იყო თავის ტვინის სისხლის მილების გავრცელებული და მკვეთრად გამოხატული ძველის-ძველი სკლეროზი, რაც შედეგად მოჰყვა ტვინის ძალიან დიდ მუშაობას; გარდა ამისა ავადმყოფს ჰქონდა შთამომავლობითი მიდრეკილება სკლეროზისადმი. ტვინის არტერიების სანათურების შევიწროების და კვების დარღვევის გამო, განვითარდა ტვინის ქსოვილის გათხელება, რითაც აიხსნებოდა ავადმყოფობის ყველა წინასწარი სიმპტომები: (მეტყველების მოშლა და სიდამბლე) გარდაცვალების უშუალო მიზეზი იყო თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ძლიერი დაშლა და სისხლის ჩაქცევა ოთხ გორაკის მიდამოში.

ამგვარად განკვეთამ დაამტკიცა, რომ ვლადიმერ ილიჩს ჰქონდა განუკურნებელი ავადმყოფობის პროცესი სისხლის მილებში, რომელსაც, მიუხედავათ ყოველგვარ ზომებისა, უსათუოთ უნდა მოჰყოლოდა საბედისწერო დასასრული.

პროფესორები: ფერსტერი, ოსიპოვი, აბრიკოსოვი, ფელდბერგი, ვეისბროტი, გენშენი, ჯანმრთელობის სახ. კომისარი: სემაშკო.

ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო

საქართველოში

ცაკის დეპეშა. საქართველოს ცაკმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა მოსკოვში საკავშირო ცაკის სახელზე: საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სრულიად საქართველოს მშრომელთა სახელით გამოსთქვამს მწუხარებას დიდი მასწავლებლის, საბჭოთა ხელისუფლების შემქმნელის და მსოფლიო პროლეტარიატის ხელმძღვანელის ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვის—ლენინის გარდაცვალების გამო. ეს სამწუხარო ცნობა მეხივით დაატყდა მთელ საქართველოს მშრომელთ და გამოიწვია ერთსულოვანი სიმწუხარე, მაგრამ ის შეგნება, რომ ილიჩი სულიერად ჩვენთან არის, რომ მისი საქმე მუდმივად გაგვამხნევებს ბრძოლაში სოციალიზმის განსახორციელებლად, გაერთიანა მთელი საქართველოს მშრომელნი და ვიძლევით აღთქმას ძვირფასი ილიჩის ცხედრის წინაშე, რომ მთელი საქართველო ფოლადივით შედუღებული ილიჩის პირმშო შვილის დროშის ქვეშ—კომინტერნის და ს. ს. რ. კ. თავდავიწყებით გაატარებს ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების იდეას მთელ მსოფლიოში.

საქარ. ცაკის პრეზიდიუმი.

—

კასპიდან. კასპის თემის გლეხთა საბჭო, კომუჯრედი და კომკავშირი გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას მსოფლიო რევოლიუციის ბელადის, პროლეტარიატის წინამძღოლის ამხ. ლენინის დაკარგვის გამო. სოფ. კასპის მუშები და გლეხები ფიცსა სდებენ, რომ შეასრულებენ განსვენებულ წინამძღოლის ანდერძს.

—

ლიუქსემბურგიდან. ჩვენი ბელადის, ძვირფასი ილიჩის გარდაცვალების გაგებისთანავე სამაზრო კომიტეტმა ღამის 12 საათზე მოიწვია თათბირი. დადგენილია, 23 იანვარი სამგლოვიარო დღედ გამოცხადდეს მთელს მაზრაში, შესწყდეს მუშაობა დაწესებულებებში, დაიკეტოს ყველა სავაჭროები. დღეს იმართება სამგლოვიარო კრება ილიჩის ხსოვნის პატივსაცემად. მობილიზაციის წესით დაბარებული პასუხისმგებელი მუშაკები 24 იანვარს მიემგზავრებიან მაზრებში. ყველა თემებს ვაცნობებთ ჩვენს პარტიაზე მოვლენილი დანაკლისის ამბავი. მძიმე დანაკარგის მიუხედავად, ორგანიზაციის ყველა წევრები, გაფოლადებულ ნებისყოფით შეკავშირებულნი, განაგრძობენ ილიჩის დიადს საქმესა და მისწრაფებას. ილიჩის ძეგლი გვირგვინებით შევამკეთ, რომელსაც გამუდმებულად სდარაჯობს კომუნართა საპატიო ყარაული. შესდგა სამაზრო კომისია. დელეგატები 24-ში წამოვლენ. ჩათახის ქარხანამ გლოვის ნიშნად, ორი საათით შესწყვიტა მუშაობა. იმართება ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. დანარჩენ ნაბიჯებს გაცნობებთ ხოლმე.

—

გიჯეთიდან. ამხ. ლენინის გარდაცვალების ამბავი 23 იანვარს მივიღეთ. გიჯეთის საზოგადოება ცრემლისღვრით მიეგება ამ ამბავს და ამ სოფლის გლეხობა გადაჭრით აცხადებს, რომ, თუ კი საჭირო იქნება, თავს გასწირავენ ამხ. ლენინის მიერ დაწყებულ დიადი საქმის დასამთავრებლად.

—

ბაშკიჩეთიდან. ბაშკიჩეთის რაიკომის ყველა მშრომელთა კრება თავზარდაცემულია უზომო მწუხარებით; კრება გრძნობს იმას, თუ რა დანაკლისია საბჭოთა ფედერაციის და მსოფლიო რევოლიუციისათვის პროლეტარიატის საქმისათვის მებრძოლის და გენიალური მასწავლებლის ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალება. მოკვდა დიდი ადამიანი, მაგრამ თვითეული მშრომელის გულში სცოცხლობს მისი აღთქმა და იდეია და ამ უკანასკნელს დაიცავს პროლეტარიატი საბოლოო გამარჯვებამდე.

ბორჩალოს მაზრის ბაშკიჩეთის რაიკომის კრების თავმჯდომარე: ზაირამოვი.

—

მარტყოფიდან. გულშემზარავი ამბავი მოგვიტანა დეპეშამ მუშათა კლასს და მშრომელ გლეხკაცობას. დაგვეკარგა საუკეთესო ბელადი, ჩვენი ინტერესების დამცველი, ჩვენი ლენინი. ჩვენ, მარტყოფის თემის გლეხები, ფიცსა ვსდებთ ამხ. ლენინის ცხედრის წინაშე, მედგრად დავიცავთ ყველა ის მონაპოვრები, რომელიც მისი მეთაურობით ვიგემეთ ჩვენ. მრავალრიცხოვანი მიტინგი თემის გლეხებისა მუხლს იდრეკს ჩვენი საუკეთესო შვილის ცხედრის წინაშე და შევძახებთ ჩვენს მტრებს, საიდანაც არ უნდა იყოს ის: „ამხ. ლენინის მიერ აღმართულ წითელ დროშას, სიმბოლოს მშრომელთა განთავისუფლებისას ძირს არ დავუშვებთ და გავსწევთ წინ მშრომელთა სამეფო—სოციალიზმისკენ!"

—

ახალხიბულიდან. მსოფლიო პროლეტარიატის მებაირახტრის და კომპარტიის საყვარელი ხელმძღვანელის ამხანაგი ვლადიმერ ილიასძე ულიანოვ-ლენინის უდროოთ დაღუპვის გამო გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა მწუხარებას.

ახალხიბულის მთლიანი კოოპერატივი.

—

გომიდან. მივიღეთ-რა ცნობა საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ამხანაგ ლენინის გარდაცვალების შესახებ, გამოვსთქვამთ ღრმა მწუხარებას და ფიცსა ვსდებთ მისი საფლავის წინაშე, რომ მის მიერ აღებული ხაზით უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ კაპიტალისტური წესწყობილების ნაშთების აღმოსაფხვრელად.

გომის რაიკომი.

—

მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭოთა რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს და საქართველოს ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო გაუწყებთ, რომ იანვრის 21-ს გარდაიცვალა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, მსოფლიო პროლეტარიატის მესვეური და რუსეთის რევოლიუციის დედაბოძი ვლადიმერ ლენინი. ჩვენი დანაკლისი აუნაზღაურებელია. ლენინი იყო მტკიცე იმედი მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხთა გულში, მსოფლიო პროლეტარიატს სწამდა, რომ ლენინის გამჭრიახი წინამძღოლობით იგი უფსკრულში არ გადაიჩეხება და სწორი გზით მიაღწევს თავის მიზანს. ლენინისკენ იყო მიპყრობილი ჩაგრულ ხალხის გულისყური. ჩვენ ვიცით, რომ აღარ არის ის ადამიანი, რომელიც მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო. მაგრამ დაგვრჩა ძვირფასისი მასწავლებლის აღთქმანი და მის მიერ განვლილი გზა. ბრძოლის მეთოდები და გამოცდილება. საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ განაგრძობს ბრძოლას, რომ ბოლომდე მიიყვანოს ის საქმე, რომელსაც ლენინი შეეწირა. მუშები და გლეხები კიდევ უფრო მჭიდროთ შეკავშირდებიან, რომ დაიცვან ლენინის ნაანდერძევი იდეა. ეს იქნება საუკეთესო ძეგლი, როგორიც კი მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ აუგონ თავიანთ მოამაგეს და მშრომელი ხალხის მესაიდუმლეს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მოგიწოდებთ თქვენ მხნედ შეხვდეთ ამ თავზარდამცემ ამბავს, განაგრძოთ ჩვეულებრივი მუშაობა და აუხსნათ მუშებს და გლეხებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ და ბოლომდე განახორციელებს ლენინის ყველა აღთქმას.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
[illegible].
საქმეთა მმართველი
ხალარიძე.

—

გორიდან. ქალაქ გორის ორგანიზაციის შეერთებული კრება უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა და მოქალაქეთა მონაწილეობით ღრმა მწუხარებით და უსაზღვრო გულისტკივილით აღნიშნავს უდიდეს მასწავლებლის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინის უდროოდ დაკარგვას. საერთო მწუხარება განუზომელია; გული გვევსება სევდა-ნაღველით, როდესაც გვესმის ამხანაგ ლენინის სიკვდილი. აღარ გვყავს ჩვენი ბუმბერაზი მოძღვარი, მშრომელი ხალხის ინტერესების დარაჯი, უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ახალი ცხოვრების შემოქმედი და გმირული ბრძოლის ქარცეცხლში გაკაჟებული ვლადიმერ ილიჩი. მაგრამ მისი მოძღვრება, მისი ანდერძი დარჩება სამარადისოთ და წარუშლელათ ჩვენი გულის სიღრმეში. დეე იხარონ მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებმა, დეე გაიხარონ შავმა და ყვითელმა ძალებმა, ჩვენ კი ვფიცავთ დიდი ილიჩის სახელს, რომ მის მიერ ნაჩვენებ გზას არ გადაუხვევთ და შეუპოვრად ვიბრძოლებთ მსოფლიო ბურჟუაზიის დასამხობად და კაცობრიობის განმათავისუფლებელ კომუნიზმის განსახორციელებლად.

ლანჩხუთიდან. ღრმად დამწუხრებული საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიონის პარტკომი, კომკავშირი და მშრომელი მასები მწუხარებით აღნიშნავენ მსოფლიო რევოლიუციის ტვინის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის და ოქტომბრის რევოლიუციის სულის—ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინის უდროოთ მოწყვეტას მსოფლიო რევოლიუციის ხელმძღვანელობიდან. ჩვენ ძველ მომუშავეების გულს სიამით ეფინება ის პირველი მილოცვის დეპეშა, რომელიც ჩვენმა ძველმა მომუშავეებმა გაუგზავნეს ამხანაგ ვლადიმერ ილიჩს 1917 წელში საზღვარგარეთიდან მოსკოვში დაბრუნებისას. მაგრამ 1924 წელს 21 იანვარს მომწამვლელი და საზიზღარი დღე დადგა ჩვენთვის, როდესაც ჩვენ რიგებიდან გაქრა ამხანაგი ლენინი. მართალია ლენინი არ გვყავს, მაგრამ ჩვენ, მისი მოწაფეები და მიმდევრები, შევეცდებით მისი ანდერძი და იდეალები ღირსეულად შევასრულოთ და მსოფლიო მშრომელი მასა მივიყვანოთ აღთქმის ქვეყნამდის, რომელსაც მტკიცე ურყეველი საფუძველი მან ჩაუყარა. ხოლო, ჩვენი უდიდესი ბელადის ხსოვნა კი დაუვიწყარი დარჩება მსოფლიო მშრომელი მასის გულში.

—

ახალსენაკი. 24 იანვარი. გუშინ საღამოს ადგილობრივ თეატრსა და რკინისგზელთა კლუბში სამგლოვიარო მიტინგები გაიმართა. მიტინგებს დაესწრენ პარტიისა და პროფკავშირთა წარმომადგენლები.

შესდგა კომისია, რომელიც მაზრის ყველა კუთხეებში მოაწყობს სამგლოვიარო დემონსტრაციებს. მობილიზაციის წესით გაწვეულია ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ დემონსტრაციებს უბნებში და თემებში. არჩეულია მუშათა და გლეხთა დელეგაციები ტფილისში გამოსაგზავნად.

—

„ჰინჩაკის" პარტიიდან. პარტია „ჰინჩაკ"-ის ტფილისის კომიტეტი, რომელიც მეტად დაამწუხრა ცნობამ სოციალიზმის დიდებულ მასწავლებლის, საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის გენიალურ ხელმძღვანელის და შეუდარებელი ბელადის და ძვირფასი და საყვარელ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების შესახებ, ტფილისის ორგანიზაციის ყველა წევრებთან ერთად გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას და სამძიმარს და, მუხლს იდრეკს რა მის ცხედრის წინაშე, ფიცსა სდებს შეუ-

რყევლად იაროს ჩვენ დიდებულ მასწავლებლის მიერ ნაჩვენებ გზაზე და მაღლა ეჭიროს საერთაშორისო სოციალურ რევოლიუციის წითელი დროშა.

პარტია „მინჩაკ"-ის ტფილისის კომიტეტი.

ახალსენაკიდან. 22 იანვარს საღამოს მოვიდა ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ. 9 იანვარს კრება გადაიქცა სამოქალაქო პანაშვიდათ, 23 იანვარს, დღის 12 საათზე ქალაქში შეწყდა ვაჭრობა და მეცადინეობა დაწესებულებებში. არჩეულია კომისია.

სოხუმიდან. 22 იანვარს მოვიდა სამწუხარო ცნობა ილიჩის გარდაცვალების შესახებ, მოწყობილია სამგლოვიარო კომისია. გამოვიდა გაზეთის სამგლოვიარო ნომერი, საღამოს შედგა სამგლოვიარო კრება, დაესწრენ კომპარტიის, ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები და უპარტიო მუშები და გლეხები, კრებაზე ილაპარაკეს ამ ჟამათ სოხუმში მყოფმა კომინტერნის წევრმა გერმანელმა ამხანაგმა, ამერიკელ კომუნისტების წარმომადგენელმა და სხვებმა. წარმოებების მუშები, გლეხები და მოსახლეობა მეტათ დაამწუხრა ცნობამ ილიჩის გარდაცვალების შესახებ. ადგილობრივი პრესა იღებს სამძიმარის განცხადებებს მუშებისაგან.

ახალ-სენაკიდან. 23 იანვარს ადგილობრივ თეატრში და რკინისგზელთა კლუბში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგები; მიტინგებზე მონაწილეობა მიიღეს პარტიულმა, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა. მოქალაქეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამდენ ილიჩის გარდაცვალების გამო. არჩეულია კომისია სამგლოვიარო დემონსტრაციის მოსაწყობად მაზრის ყველა კუთხეში. მობილიზაციით გამოწვეულია პასუხისმგებელი მუშაკები რაიონების და თემებისათვის. არჩეულია მუშებისა და გლეხებისაგან დელეგაცია ტფილისში გასაგზავნად.

ჭიათურიდან დეპეშა დიდი ბელადის ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ მიღებულ იქნა 22 იანვარს საღამოს, როდესაც მოწვეული იყო მიტინგი 9 იანვარს პეტროგრადში დახვრეტილთა საპატივცემოდ. დეპეშის შინაარსი გამოცხადებულ იქნა მიტინგზე. მიტინგმა ერთხმად მწუხარება გამოსთქვა. მიტინგის სახელით მოსკოვში გაიგზავნა დეპეშა. ადგილობრივად გამოცემულ იქნა სამგლოვიარო ფურცლები. პარტიული ამხანაგები ცრემლებით სტიროდენ. მოქალაქეებს შორის გლოვიარობაა. ყველა გლოვობს დიდი ხელმძღვანელის გარდაცვალებას.

სპარსელთ ახალშენისაგან ჩვენ, სპარსეთის მრავალრიცხოვან ახალშენის წარმომადგენელნი, სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, გულითადი მწუხარებით გამსჭვალულნი ვლადიმერ ილიჩ ლენინის გარდაცვალების გამო, ულრმესად განვიცდით და ვგრძნობთ ამ აუნაზღაურებელ დანაკლისს მთელი ქვეყნიერობის ჩაგრულთათვის. თუ სპარსეთის ხალხი; რომლის გულისთქმის ნამდვილი გამომხატველნი ამჟამად ჩვენა ვართ, თავისუფლად გრძნობს თავის თავს უცხოელთა ულლისაგან, და წარმატებით მიიმართება თავისი სამშობლოს კულტურის გზაზე, თვითონ ამისი შეგნებაც უნებლიედ გადაჯაჭვულია ულრმესად პატივცემულ ვლადიმერ ილიჩის სახელთან, რომელიც არის მაუწყებელი და მოციქული ყველა ეროვნებათა ნამდვილი ძმობა ერთობის, რომელმაც თავისი ჭეშმარიტა ნათელი სიტყვით გაჰფანტა ჩვენს სამშობლოს კაბადონზე ჩამოლეშული შავი წყვდიადი. მან დაამსხვრია ინგლის-რუსეთის იმპერიალიზმის ვერაგობით ჩვენი სამშობლოსათვის გაჭედილი ხუნდები. ლენინი ფიზიკურად გარდაიცვალა, მაგრამ სულიერად იგი სცოცხლობდა და კვლავაც იცოცხლებს თაობიდან თაობამდე და მის სახელს ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის განახლებული სპარსეთის ისტორიის ფურცლებიდან და მისი ამაგის დამფასებელ სპარსეთის შვილთა გულიდან.

რწმუნებულნი: ჰაჯი მამედ ალიევი, ალეკპერ რასულოვი, მუსა ტაგიოლლი, ისმაილ ალიევი, იბრაჰიმ ალიევი, მაჰმუდ ჰასან-ოღლი, მირზა აბას-მუხტა ოღლი, რიზა ზადე, ნაგიევი განაფ ალოლლი, აჰმედ ჰასანოღლი.

აბასთუმანიდან. აბასთუმანის უბნის შრომის სკოლათა მთელი მასწავლებელთა და მოწაფეთა შემადგენლობა გამოსთქვამენ უსაზღვრო მწუხარებას მსოფლიო გენიოსის, რევოლიუციის ბელადის, ძვირფასი ამხანაგის ლენინის გარდაცვალების გამო.

ოზურგეთიდან. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო 23 იანვარს შემდგარი მიტინგი ღრმა მწუხარებით აღნიშნავს დიდი მასწავლებლის დაკარგვას, ფიცს სდებს ილიჩის ცხედარის წინაშე არ გადაუხვიოს მის მიერ ნაჩვენებ გზიდან.

გუდაუთიდან. კომპარტიის ბელადის ილიჩის უეცარმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა. კომპარტია აიტანს მძიმე დანაკლისს და გამოვა გამარჯვებული მსოფლიო შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაიცავს პარტიის მთლიანობას.

ლენინის სანატორიის ავადმყოფი კომუნისტები: **ქაცარაძე, ჯორბენაძე, ცხვედაძე, ბუკნიშვილი, კოლია ბახტაძე, კაზაროვი, ბოლქვაძე, მიდთგი, ბროშია, ბრიკვიშვილი, კვარაცხელია.**

მცხეთიდან. მცხეთის რაიონის მშრომელი ხალხი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მისი უდიდესი ბელადის ამხ. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უდროოდ დაკარგვის გამო.

თელავიდან. თელავის სამაზრო პარტკომი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მსოფლიო ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების გამო.

აჭარა.

ბათომიდან. ახალგაზრდობის კომკავშირმა მოიწვია საერთო პარტიული კრება წითელარმიელებთან ერთად. დაადგინეს, სამძიმრის დეპეშა გაეგზავნოს რ. კ. პ. ც. კ—ტს და კრუპსკაიას.

მოწვეულ იქნა ქალაქის საბჭო პროფორგანიზაციებთან ერთად. გამოიცა გაზეთები „ტრუდოვოი ბატუმ", „ბრძოლა", „ტურეცკაია", რომლებიც საგანგებოდ იძლევა ლენინის ხსოვნას. შესდგა კომისია პარტკომის მდივნის თავმჯდომარეობით. თეატრები, კინო და სხვა გასართობები დაკეტილია.

ქალაქის საბჭომ მოწოდებით მიმართა აჭარის მოსახლეობას რუსულ, ქართულ, ბერძნულ, ოსმალურ და სომხურ ენებზე.

ბათომი. 24 იანვარი. ქალაქი დიდად დამწუხრებულია. ქარხანა-ზავოდების მუშები, მუშაობის გათავების შემდეგ, კრებებს მართავენ, რომლებზედაც გამოსთქვამენ ერთგულებას კომპარტიის მიმართ, რომელიც არის ღვიძლი შვილი ლენინისა.

ბათომი. 24 იანვარი. გაიმართა სრულიად საქალაქო პარტიული კრება, ლენინის ხსოვნის პატივსაცემად. კრებამ დაადგინა, სამძიმრის დეპეშა გაეგზავნოს რ. კ. პ. ც. კ-ტს და ქ. კ. ულიანოვ-კრუპსკაიასას. ცენტრალურ კომიტეტის სახელობაზე შემდეგი შინაარსის დეპეშა გაიგზავნა: „აჭარის ორგანიზაცია დამწუხრებული იხრის თავს დაკარგულ ბელადისა და მასწავლებლის ნეშთის წინაშე. ორგანიზაცია გაჰყვება ლენინიზმის გზას, რომლის განმტკიცებას [illegible] ცენტრალური კომიტეტი. გაუმარჯოს ჩვენს ბელადს.

ცენტრალური კომიტეტი

ქ. კ. ულიანოვ—კრუპსკაიას შემდეგი დეპეშა გაეგზავნა:

„თქვენთან ერთად ვგლოვობთ ცხოვრების თანამგზავრის დაკარგვის გამო. ლენინის სახელი მუდამ იქნება აღბეჭდილი ჩვენს გულში".

ქალაქის საბჭოს პლენუმი

ბათომი. 24 იანვარი. დღეს მოხდა ქალაქის საბჭოს პლენუმი, პარტიულ მუშათა, ახალგაზრდა კომკავშირისა და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით პლენუმმა დაადგინა, მოწოდებით მიმართოს აჭარის მოსახლეობას.

შავიქვის მრეწველთა საბჭოსაგან

შავიქვის მრეწველთა საბჭო უცხადებს საქართველოს სოციალისტურ მთავრობას გულწრფელ მწუხარებას მთელი ქვეყნის მშრომელთა სწორუპოვარი ბელადის და მსოფლიო რევოლიუციის თავდადებული მებრძოლის, დაუვიწყარი ლენინის უდროოთ გარდაცვალების გამო

საბჭოს თავმჯდომარე **ბაქრაძე.**

აზერბეიჯანში.

მუშების ფიცი.

ბაქო. 23 იანვ. ლეიტენანტ შმიტის სახელობის მანქანების ასაშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, რიცხვით ათას კაცამდი აცხადებენ, რომ ისინი ფიცს სდებენ ილიჩის ცხედარის წინაშე, რომ გაერთიანებულნი კომინტერნის დროშის ქვეშ, ბოლომდი მიიყვანებენ ილიჩის მიერ დაწყებულ საქმეს.

„ჩვენ, ნათქვამია რეზოლიუციაში—ვავალებთ რ. კ. პ. ც. კ.-ს, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის ცაკს და კომინტერნს, განაგრძონ ლენინის მიერ დაწყებული საქმე—სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა მთელს მსოფლიოში. ჩვენ მუშები განვაგრძობთ მუშაობას—ეკონომიურ ნგრევასთან ბრძოლას, ჩვენი რესპუბლიკების აღსადგენათ".

აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მუშების და გლეხების სახელით ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამ ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარი დიდი მასწავლებლის ვლადიმირ ილიჩი ლენინის გარდაცვალების გამო. აზერბეიჯანის მუშები და გლეხები მჭიდრო და განუყრელი კავშირით შეურყევლად განაგრძობენ დგომას თავიანთი საყვარელი მასწავლებლის ალთქმების სადარაჯოზე და გაბედულად ივლიან მის მიერ ნაჩვენები გზით და დაიცავენ პროლეტარიატის დროშას.

აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე: აგამალი-ოღლი.

მიიღო რა ცნობა მსოფლიო რევოლიუციის ბელადის და მასწავლებლის გარდაცვალების შესახებ, აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭო მშრომელების სახელით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ვლადიმერ ილიჩ ლენინის უდროოდ გარდაცვალების გამო. რესპუბლიკების კავშირი მედგრად გადაიტანს მოულოდნელ უბედურებას და ვლადიმერ ილიჩის ალთქმების მიხედვით ერთსულოვნად გასწევს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებისაკენ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: მუსაბეკ—ზადე.

სომხეთში

ერევანი. 24 იანვ. ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო სომხეთის კომპარტიის ცეკამ გაუგზავნა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი დეპეშა: „სომხეთის კომპარტიის ცეკა, რომელიც თავზარდაცემულია ძვირფასი მასწავლებლის და ხელმძღვანელი—ლენინის უეცრად გარდაცვალებით, გამოსთქვამს ურყევ ნებისყოფას და რწმენას იმაში, რომ სომხეთის კომპარტია გადაუხრელად განაგრძობს რევოლიუციონურ მუშაობას ლენინის ალთქმების მიხედვით.

ილიჩის სიკვდილი კიდევ უფრო შეაკავშირებს ჩვენს პარტიულ რიგებს და გააათკეცებს ჩვენს ენერგიას პროლეტარული რევოლიუციის პოზიციებზე".

სომხეთის დელეგაცია დაკრძალვაზე.

ერევანი. 24 იანვარი. სომხეთის კომპარტიის ცეკას, ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეების მიერ ამხ. ლენინის დაკრძალვაზე დასასწრებად დანიშნული არიან შემდეგი ამხანაგები: ლუკაშინი, ამბარცუმიანი და ოგანეს ოგლუიანი.

ერევანი. 24 იანვარი. სომხეთის ყველა კუთხიდან მიღებული ცნობები გადმოგვცემენ ღრმა მწუხარებას, რომელიც გამოწვეულია ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო. ყოველგან დახურულია საზოგადოებრივი და გასართობი ადგილები.

იმართება სამგლოვიარო მიტინგები.

გაზეთის სამგლოვიარო ნომერი.

ერევანი. 24 იანვარი. „ხორურდიან ჰაისტანი"-ის დღევანდელი ნომერი სამგლოვიარო არშიით გამოვიდა და ამხ. ლენინის ხსოვნას ეძღვნა.

ყარაბაღიდან ავტონომიურ ყარაბაღის სახალხო კომისართა საბჭოს ცენტრალური აღმასკომის და საოლქო კომიტეტი უზომო მწუხარებას გამოსთქვამს მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ამხ. ვლადიმერ ილიჩ ლენინის გარდაცვალების გამო ერთგულნი მისი ალთქმებისა ფიცსა სდებენ მისი ნეშთის წინაშე, რომ დაწყებულ საქმეს სრულს გამარჯვებამდე მიიყვანენ.

საოლქო კომიტეტის მდივანი

ყამარი.

რუსეთში

უმუშევართა მიტინგი.

მოსკოვი. 25 იანვ. უმუშევართა მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 5 000 კაცი, ამხ. პრეობრაჟენსკის მოხსენების გამო მიიღო სამძიმრის დეპეშა რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რუსეთის მთელი მუშათა კლასი კიდევ უფრო მჭიდროთ შეკავშირდება კომპარტიის გარშემო და მასთან ერთად სისრულეში მოიყვანს იმ ამოცანებს, რომლებისთვისაც ლენინი იბრძოდა.

ვიყოთ მტკიცენი.

მოსკოვი. 25 იანვ. რუსეთის კომპარტიის ცეკასა და საბჭოთა კავშირისადმი მიმართვაში რკინისგზელთა კავშირი აღნიშნავს: „უნდა ვიყოთ მტკიცენი, როგორც რკინა. მემანქანის სიკვდილი არ ნიშნავს მოძრაობის შეჩერებას. მანქანის არც ერთი სარქველი არ უნდა გაჩერდეს".

შევამჭიდროოთ რიგები.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავს, რომ ლენინის გარდაცვალების შემდეგ არ შეჩერდება მსოფლიო რევოლიუციის საქმე; შევამჭიდროოთ რიგები და გამარჯვებისაკენ წავიყვანოთ მთელი მუშათა კლასი.

მინსკში. კლუბებში იმართება მრავალრიცხოვან მუშათა და წითელარმიელთა სამგლოვიარო კრებები. რეზოლიუციებში გამოთქმულია უზომო მწუხარება და მტკიცე გადაწყვეტილება, კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მჭიდრო შეკავშირებისა.

პეტროზავოდსკში. ლამქარხნებში, კავშირებში და თეატრებში საგანგებო კრებები გაიმართა. მიღებულ რეზოლიუციებში მუშები ფიცსა სდებენ, შეინარჩუნონ ის მონაპოვარნი, რომლის შემომქმედიც იყო ლენინი.

ომსკში. ამხ. ლენინის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. მაშინვე დაიკეტა ყველა თეატრები და კაფეები. ლენინის გარდაცვალების ამბავმა ბევრი აატირა.

პეტროგრადის მაგიერად—ლენინგრადი

პეტროგრადი. 24 იანვ. ლენინის გარდაცვალების გამო, ფაბრიკებში და ქარხნებში გაიმართა მრავალრიცხოვანი კრებები. გამოსული უპარტიო მუშები და პარტიის წევრები თვალცრემლიანი ლაპარაკობენ მძიმე დანაკლისის შესახებ. მრავალ კრებებზე უპარტიო მუშებმა წინადადება შეიტანეს იმის შესახებ, რომ პეტროგრადს დაერქვას ლენინგრადი. ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ქარხნებში; ზოგიერთ მუშა ქალებს გული შეუწუხდათ.

პირველი ნაბიჯი.

ამხ. ვოლოდარსკის სახელობის ქარხანამ პირველმა დაიწყო შემოწირულების მოგროვება ლენინისათვის ძეგლის ასაგებათ. შემოწირულების შეგროვება წარმატებით მიდის.

გასართობების დახურვა

პეტროგრადში ერთი კვირით დაიკეტა ყველა თეატრები, კინოები და რესტორანები.

უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების სამძიმარი.

ინგლისის, სპარსეთის, გერმანიის, ლატვიის, ფინეთის და ესტონეთის წარმომადგენლებმა ინახულეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული და სამძიმარი გამოუცხადეს მას ილიჩის გარდაცვალების გამო.

ლენინის მემკვიდრე—რუსეთის კომპარტია.

ვოლხოვსტროის მუშების მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს: „ვინც მოისურვებს დღევანდელ მომენტში კინკლაობის დაწყებას, იმან უნდა იცოდეს, რომ ლენინს ყავს მემკვიდრე რუსეთის კომპარტიის ცეკას სახით, რომელიც მტკიცეთ შეასრულებს თავის მოვალეობას და ბოლომდი მიიყვანს ილიჩის მიერ დაწყებულ საქმეს".

გლოვის დღეები გემებზე.

ბალტიის ფლოტის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანების თანახმად, ბალტიის ფლოტის ყველა სამხედრო გემებზე დახრილია დროშები.

უკრაინაში.

ღარიბთა კომიტეტის მოწოდება.

ხარკოვი. 24 იანვ. ღარიბთა სრულიად უკრაინის ცენტრალურმა კომისიამ მოწოდებით მიმართა ღარიბთა ყველა საგუბერნიო კომისიებს და უკრაინის ყველა სოფლელებს, რომელშიაც ნათქვამია: „21 იანვარს, საღამოს 6 საათზე 50 წ. გარდაიცვალა საერთაშორისო რევოლიუციის დიდებული ბელადი—ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ცენტრალური კომისია მოუწოდებს ყველა ღარიბ სოფლელებს უკანასკნელი პატივი სცენ იმ ადამიანს, რომელიც იბრძოდა მუშების და გლეხების განთავისუფლებისათვის. ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი იდეა სცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს.

მოუწოდებთ ყველა ღარიბ სოფლელებს მჭიდროთ გაერთიანდენ კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც გააგრძელებს ილიჩის ალთქმების ცხოვრებაში გატარებას. კომუნისტური პარტია განახორციელებს ლენინის დიდებულ ლოზუნგს. ლენინი აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ მისი საქმე სცოცხლობს და იცოცხლებს კიდევ".

ოდესაში.

ოდესა. 24 იანვარი. მოსახლეობამ თავისი ინიციატივით გლოვის ნიშნათ დახურა დუქნები და მაღაზიები. წარმოდგენები თეატრებში გადაიდო. ცენტრალურ პარტიულ კლუბის შენობასთან თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა. ღამით გამოშვებულ იქნა საჩქარო გაზეთები, რომელთაც იტაცებდა მოსახლეობა. ყველგან კითხულობენ ჯგუფ ჯგუფათ და ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს.

პოლტავაში.

ხარკოვი. 24 იანვარი. ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. გამოცხადებულია გლოვის კვირა. სახლების აივნებზე გამოკიდებულია შავი დროშები.

ნიკოლაევში.

ხარკოვი. 24 იანვარი. ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა დღის 4 საათზე, სწრაფათ გავრცელდა მთელს ქალაქში და თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა: დაუყოვნებლივ გადადებულ იქნა ყველა წარმოდგენები და მოხსენებები, რომელიც 9 იანვრისათვის იყო მიძღვნილი. ყველა კლუბებში გაიგზავნენ პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ. ყველა, როგორც ერთი კაცი, იხდიდა ქუდებს და ფეხზე დგებოდენ. მუშათა კლუბებში და კრებებზე ილაპარაკეს მუშებმა. მოკლე სიტყვებში წითელი ზოლივით არის გატარებული—აუცილებელია მჭიდროთ გაერთიანება, რომ ილიჩის მიერ დაწყებული საქმე დარჩეს მტკიცე და ერთგულ ხელებში.

ელისავეტგრადი.

ხარკოვი. 24 იანვარი. მუშათა კლუბის დარბაზმა ვერ დაიტია კრებაზე დასწრების ყველა მსურველნი. გამოიცა საგანგებო ფურცელი, რომელიც ეძღვნა განსვენებულის ხსოვნას. სახლები სამგლოვიარო დროშებითაა შემკული.

კრემენჩუგი.

ხარკოვი. 24 იანვარი. გამოცხადდა სამი დღის გლოვა. სოფლებში დაიგზავნა საგანგებო ბიულეტენები.

ბახმუტი.

ხარკოვი. 24 იანვარი. სამგლოვიარო დემონსტრაცია, განსვენებულის სურათითა და შავი დროშებით გაემართა ქალაქის ქუჩებში, სამგლოვიარო ჰიმნის გალობით. ქალაქის ყველა უბნებში მოძრავი მიტინგები იმართება.

ნოვოროსიისკი.

მოსკოვი. 24 იანვარი. ნოვოროსიისკის მუშათა კლუბებში კრებები იმართება. ბევრი მუშა აფრქვევს ცრემლებს. ბევრს გული უწუხდება. დაიწყო შემოწირულების მოგროვება დიადი ბელადის სახელობის ჰაეროპლანის ასაგებად.

სევასტოპოლი.

მოსკოვი. 24 იანვარი. სევასტოპოლში შეკრებილი აუარებელი ხალხი ელის რედაქციის წინას საგანგებო ბიულეტენის მოლოდინში.

ბრიანსკი.

ბრიანსკის ყველა კლუბებში სამგლოვიარო სხდომები გაიმართა.

უცხოეთი.

შვეციაში.

სტოკჰოლმი. 23 იანვარი. ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საღამოს ყველა გაზეთები ათავსებენ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს დეპეშებს და განსვენებულის სურათს.

ამხ. რაკოვსკის დეპეშა.

მოსკოვი. 23 იანვარი. ამხ. ჩიჩერინმა ლონდონში მყოფ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლისაგან ამხ. რაკოვსკისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „აცნობეთ ამხ. კალინინს, რომ ჩვენ პარტიასა და მთელი მსოფლიოს მუშებთან ერთად ვსტირით ძვირფას ილიჩის აუნაზღაურებელ დაკარგვას. მის საფლავის წინაშე ფიცს ვსდებთ ერთგულად ვემსახუროთ მუშების და გლეხების ინტერესებს და მტკიცედ გავატაროთ ცხოვრებაში საყვარელ მასწავლებლის და წინამძღოლის დიადი ალთქმანი.

ხმა ბერლინიდან.

ბერლინი. 24 იანვარი. ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო, „ფორვერტს"-ი სწერს, რომ ის იყო დიდი გლეხური რევოლიუციის ფოლადის ცოცხი, რომელმაც გადაჰგავა ფეოდალიზმის მთელი საუკუნეების ნაგავი.

ბერლინი. 24 იანვარი. გაზეთები ამტკიცებენ, რომ კამენევის, სტალინის და ზინოვიევის მიერ წლინახევრის განმავლობაში სახელმწიფოს სახელმწიფოს სათავეში დგომა წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ლენინის გარდაცვალება არ იქონიებს არსებით გავლენას საბჭოთა კავშირის პოლიტიკაზე და არ გამოიწვევს შინაგან გართულებას.

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას დეპეშა.

ლიონი. 23 იანვარი. მიიღო რა მოსკოვიდან ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ, საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ გაგზავნა მოსკოვში შემდეგი დეპეშა: „ვინაიდან მოსკოვში ამ ჟამად არ იმყოფება საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელი, ცეკა გამოსთქვამს სურვილს რამოდენიმე დღით გადაიდოს ლენინის დაკრძალვა, რათა საშუალება მიეცეს საფრანგეთის პროლეტარიატის დელეგაციას მიიღოს მონაწილეობა დაკრძალვაში.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა ღრმა მწუხარებით შეხვდა ცნობას საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინამძღოლის გარდაცვალების შესახებ. საფრანგეთის მუშათა კლასი ისეთივე თავზარდაცემულია დიდი ბელადის დაკარგვით, როგორც რუსეთის პროლეტარიატი. ლენინის გარდაცვალება ავალებს ყველა კომუნისტებს გააძლიერონ კავშირი კომუნისტურ ინტერნაციონალთან და რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან, რათა მჭიდროთ გააერთიანონ რიგები და კიდევ მეტი ენერგიით განაგრძონ ლენინის მიერ დაწყებული საქმე, რომელიც დღის უფრო მძიმეა, ვიდრე ოდესმე. საფრანგეთის კომუნისტები ფიცს სდებენ დარჩენ ერთგულნი ლენინის ალთქმებისა და წაბაძონ მის მაგალითს".

ჩვენი ალთქმა

ილიჩის დასაფლავების გამო

დღეს, დიდი გლოვის დღეს, მშრომელთათვის, როდესაც ვაბარებთ მარადისობას ძვირფას ცხედარს უდიდესი რევოლიუციონერი და მოაზროვნე ამხ. ლენინისას, უნდა გულწრფელათ ვსთქვათ ალთქმა და დავსდოთ ფიცი ძვირფასი ცხედრის წინ, რომ პირნათლათ და სისწორით შევისწავლით იმ სკოლას, რომელსაც ეწოდება ლენინიზმი და შევასრულებთ იმ ანდერძს, რომელიც დაგვიტოვა ისტორიის იშვიათმა ადამიანმა, რომელმაც მსოფლიო მასწავლებლების მარქს-ენგელსის პოლიტიკურ მეცნიერულ თეორიებს ხორცი შეასხა და ცხოვრებაში, პრაქტიკაში გაატარა.

უნდა აღუთქვათ ძვირფას ცხედარს, რომ მზად ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ მისი საკაცობრიო, მსოფლიო პროლეტარიატის, მშრომელი მასის, ტანჯული ერების იდეალების განსახორციელებლად.

წყალსადენის მუშათა სახელით

ათანასი.

ამხ. ლენინის ხსოვნას!

მსოფლიო პროლეტარიატს დიდი უბედურება ეწვია სისწრაფით მოულოდნელად.

აღარა გვყავს ლენინი. იგი გარდაიცვალა მშრომელი ხალხის, ტანჯულ წამებულ მუშა-გლეხების, დაჩაგრულ ერების და მსოფლიო პროლეტარიატის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.

ადამიანის, მსოფლიო რევოლიუციის ბელადის უდროოთ სიკვდილმა დიდი მწუხარება დაგვატეხა თავს.

საერთაშორისო პროლეტარიატის გლოვას ვუერთებთ უსაზღვრო მწუხარებას ჩვენ ქალ. **ტფილისის წყალსადენის მუშა-მოსამსახურენი** და ვ'დებთ ფიცს ძვირფასი მასწავლებლის ცხედრის წინ, რომ მთელი ძალ-ღონით დავიცვათ ის ალთქმა და ანდერძი, რაც დაგვიტოვა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ამხ. ლენინმა.

ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ „არ მომკვდარა, ვინც მოკვდა და ხალხს შესწირა [illegible]. მკვდრათ იგი [illegible] სახელი არ დარჩენია"; არ მომკვდარა ლენინი, რომელმაც დაგვიტოვა, გამოწვრთნა, გამოზარდა ბრძოლებში ის უძლეველი ფოლადისებური გმირი—მასა, რომელსაც ეწოდება **რუსეთის კომუნისტური პარტია** და რომელიც შესძლებს მთელი ქვეყნის მშრომელთა მასსების ჩაგვრის მოსპობას, ძველი კერპების დამხობას, ჩვენი მტრების დამარცხებას და მსოფლიოში მშრომელთა ბატონობის, დიქტატურის განმტკიცებას, გაძლიერებას და წითელი, მუშურ-გლეხურ სამეფოების დამყარებას, რაც იქნება უდიდესი ძეგლი ღირსეული რევოლიუციონერი ამხ. ლენინისთვის.

მუშკორი ა. გაზიძე.

ვლადიმერ ილიჩს

ჩვენი ილიჩი არ მომკვდარა. ასეთი გმირები, რომელსაც საუკუნოები მხოლოდ ერთს, ან ორს ბადებენ, არ კვდებიან. დიახ, ამხ. ილიჩი არ მომკვდარა. მხოლოდ დადუმებულია მისი მძლავრი ბაგე. აღარ მოძრაობენ მისი შუბლის ნაოჭები, რომელნიც გამომხატველნი იყვნენ ტანჯული ხალხის ზრახვების. ბრწყინვალე ჩირაღდანი, ნაანდერძევი ძვირფას და უძვირფასეს მასწავლებლისაგან, რომლის სხივები ანათებს მთელ მსოფლიოს და მარად ინათებს ჩაგრულთა ხალხის გულ-მკერდში, არ ჩაქრება.

ილიჩი იყო ჩვენი მებაირახტრე, სიმბოლო მშრომელი ხალხის და მსოფლიო პროლეტარიატის სამუდამო გამარჯვებისა.

ილიჩი არ მომკვდარა. მისი სამარე ჩვენი გულია. დიდება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს. დიდება მის ხსოვნას პროლეტარიატის გულში.

მუშა კოლია ხაჟუარელიძე.

ტყუილად გიხარიათ მტრებო!

ტყუილად გიხარიათ მტრებო ჩვენი და მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადის, ჩვენი დიდი მასწავლებლის სიკვდილი. ტყუილად ჰგვრით სიცილს თქვენს ბოროტ სახეს. ტყუილი იმედებით ნუ საზრდოობთ, ნუ გგონიათ, რომ ოდესმე დაჰკრავს საათი და მუშათა კლასი თქვენ ფეხ ქვეშ მოექცევა და დაიბრუნებთ დაკარგულ ბატონობას, ნუ გგონიათ, რომ ჩვენმა მამამ ლენინმა ისე დაგვაობლა, როგორც ზოგიერთი მამები დააობლებენ შვილებს სრულიად უმწეოდ, სრულიად უნუგეშოთ. არა ბატონებო! ჩვენი ლენინი სხვა მამებისაგან დიდად განირჩევა. ჩვენი მამა იყო გენიოსი, ბრძენი, შორსმჭვრეტელი, წინდახედული, და ამიტომაც მან მუშებს და გლეხებს სარჩენათ და გამოსაზრდელათ დაგვიტოვა დიდი სარჩო საბადებელი. ეს არის მისი მოძღვრება და მისი საქმე.

გაიგეთ ბატონებო! ერთხელ და სამუდამოთ, რომ ეს თვალ-გაუწვდენელი განძი, როგორც არის ლენინის მოძღვრება ისეთი დიდია, რომ ჩვენი შვილის შვილის შვილებს და კიდევ შორს გასწვდება. ლენინი აღარ გვყავს, მხოლოდ ლენინიზმი დიდია, თავდადებულ დამცველად გამოდიან დღეს დაობლებული მუშები და გლეხები.

გაუმარჯოს ლენინის იდეას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს!

მუშათა ფაკულტეტის მსმენელი ქალი ფეფუცა ირემაშვილი.

ლენინის სახელობის კომუნისტურ აღზრდის სკოლაში

(მეორე საცდელი სანიმუშო სკოლა)

მიხეილის ქუჩაზე, პატარა, უბრალო შენობაში უკვე საქართველოს გასაბჭოების დღიდან წყაროსავით სჩქეფს სიცოცხლე. იქ სწავლობენ და იზრდებიან ბავშვები ახალი ცხოვრებისათვის ახალი გზით. იქ გამეფებულია სრული ერთსულოვნება, მჭიდრო კავშირი და მეგობრობა უფროს და უმცროს ამხანაგებს შორის, მოწაფეთა და მასწავლებელთა შორის. ეს სკოლა გამოხატავს, როგორც სარკეში მშრომელთა რესპუბლიკის ცხოვრებას. იქ საკუთარი რესპუბლიკაა, რომელიც შენდება პატარა, ჯერ კიდევ გამოუცდელ, მაგრამ მტკიცე ხელებით და მშრომელთა საქმისადმი ერთგულ მუშაკთა ხელმძღვანელობით. მშრომელთა ყოველი სიხარული, ყოველი დღესასწაული იქ პოულობს გამოძახილს და ამ გამოხმაურებას მუშათა კლასის და მისი ბრძოლის ყოველი მწუხარება და უბედურება ხდება იქ პატარა კომუნის მწუხარებათ.

მაგრამ აი მშრომელებს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება, უდიდესი მწუხარება. მათ დაჰკარგეს თავისი წინამძღოლი, ხელმძღვანელი, მსოფლიო რევოლიუციის მესაჭე. სკოლაში მწუხარებაა, სკოლაში გლოვაა, ბავშვები თავზარდაცემული არიან, ისინი მტკივნეულად უპასუხებენ საერთო მწუხარებაზე, ვინაიდან ეს მათი მწუხარებაც არის. ისინი იცნობენ ილიჩს. მან იპოვა მათ პატარა მხურვალე გულში ყველაზე საპატიო ძვირფასი ადგილი. ისინი გრძნობენ მთელი თავისი ნაზი მგრძნობიარე არსებით, რომ ის მათი საუკეთესო, გულწრფელი და ერთგული მეგობარია.

იმათ არ შეუძლიათ დაივიწყონ ლენინის ანდერძი ახალგაზრდობისადმი—სწავლა, სწავლა და სწავლა და მხოლოდ ცოდნის ჩირაღდანით შეიძლება წასვლა მშრომელთა დასახმარებლად.

შეიკრიბენ ყველა ხელმძღვანელებით, მოისაუბრეს, იგლოვეს, მაგრამ მთელი ეს მწუხარება არ დაეტია მხოლოდ მათ წრეში, მათ მოისურვეს კიდევ გაეგონათ მასზე რამე იმათგან, ვინც მთელი თავისი არსებით, აწმყოთი და მომავლით დაკავშირებული არიან ილიჩთან, ვისაც შეუძლია ბევრი რამ მოუთხროს მათ მის შესახებ. მივდივარ მათთან მათი სურვილის თანახმად. შენობაზე აღმართულია სამგლოვიარო დროშა, კედელზე მწვანით და ტრაურით მორთული ილიჩის სურათი ჰკიდია. ბავშვთა კომიტეტის სახელით იხსნება კრება. ირჩევენ თავმჯდომარეს, მდივანს. სიტყვას მაძლევენ მე. ფეხზე ამდგარი, ჩუმად, დიდი მწუხარებით ისმენენ ისინი სამწუხარო ამბავს დიდი მებრძოლის გარდაცვალების, მისი ცხოვრების, მისი ბრძოლის, მოღვაწეობის, გეგმების, ალთქმების, მშრომელებისა და ჩაგრულ ხალხისადმი ულრმესი სიყვარულის და მჩაგვრელთა მიმართ სიძულვილის შესახებ. სულგანაბული, თავჩამოშვებული მისმენენ. მხოლოდ აქა-იქ ისმის თავშეკავებული ტირილი. კითხულობენ ახალგ. კომკავშირის ცეკას მოწოდებას. შემდეგ ისმენენ განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებას მათი სკოლისათვის „ლენინის სახელობის კომუნისტურ აღზრდის სკოლის" სახელწოდების მიცემის შესახებ. თავშეკავებულ სიხარულს, შიშს ვკითხულობ მათ სახეებზე. მათი ფიქრები თითქოს კრძალვით ლაპარაკობენ: —„ერთიც ვნახოთ არ გავამართლოთ ჩვენზე დამყარებული იმედები, ერთიც ვნახოთ არ გავხდეთ ღირსი მისი სახელის". კრების თავმჯდომარე 14—15 წლის ბიჭი მოკლედ, ბავშვების სახელით მადლობას აცხადებს ნდობისათვის, იძლევა პირობას ბეჯითი შრომით და გაათკეცებულ ენერგიით უშიშრად იარონ ლენინის მიერ ნაჩვენებ ძნელი გზით და დახმარება გაუწიონ მშრომელებს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი ხელმძღვანელი აგრეთვე აღელვებული ხმით მადლობას აცხადებს უფროს და უმცროს ამხანაგების სახელით და აგრეთვე იძლევა პირობას გაამართლოს ნდობა. რომელიღაც ბავშვი წინადადებას იძლევა დასდონ ფიცი მშრომელთა ერთგულებაში და უბრალოდ, ბავშვურად სთხოვს ხელმძღვანელებს დახმარება გაუწიონ მათ. შემდეგ სხდომა იხურება და ბავშვები იშლებიან ჩუმად, წყნარად დამწუხრებული, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით გახდნენ ლენინის მოწაფეებად და განაგრძონ მისი საქმე. რამდენი პატარა წმინდა გული სცემს ამ მოსწავლეებთან ერთად. მხოლოდ დიდ ლენინს შეეძლო ალენთო მილიონი ახალგაზრდა გული უსაზღვრო სიყვარულით და მტკიცე გადაწყვეტილებით პატიოსანი, საუკეთესო, მგრძნობიარე ბავშვები და ახალგაზრდობა ლენინისაა სამუდამოთ. დეე ყოველმა მუშამ იცოდეს ეს, დეე სიხარულით აღივსოს მისი გული, დეე ეს რწმენა იყოს ყველა ჩვენ დაობლებულთათვის საუკეთესო ნუგეშად.

მარიამ ორახელაშვილი.

ტფილისის საქონლის სადგურის მუშებში

1924 წელს 23 იანვარს შესდგა ტფილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. კრება გახსნა მესამე კომუჯრედის ბიუროს სახელით ამხ. კოსტა ლუტიძემ. მოხსენება გააკეთა **ამხ. ლენინის გარდაცვალების** შესახებ 1-ლი რაიონული კომიტეტის წევრმა ამხ. დოლიძემ, რომელმაც დაახასიათა ამხ. ლენინის ყოველი მოღვაწეობა და თავდადება მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის. კრებამ დიდი მწუხარება გამოსთქვა ჩვენი დიდი მასწავლებელ და მუშათა კლასის მესაიდუმლე და ხელმძღვანელი ამხ. ლენინის უდროოდ დაკარგვის გამო. დასასრულს კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ, ტფილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა გავიგეთ რა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის და ჩვენი მასწავლებლის, ამხ ლენინის უდროოდ გარდაცვალება, გულითად მწუხარებას გამოვსთქვამთ და ფიცს ვიძლევით ჩვენი ბელადის გაციებული გვამის წინაშე, რომ მომავალშიაც მედგრად და გაბედულად ვიბრძოლებთ და შევასრულებთ მის ნაანდერძევს.

ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი დიდებული იდეები არ მომკვდარა. გაუმარჯოს მსოფლიო ლენინიზმს! საუკუნოთ იქნება მოძღვრება და ხსოვნა შენი ჩვენს გულში!

პირველი რაიკომის მდივანი

ქ. [illegible]

ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო გამართული მუშათა მიტინგები

სახელმწიფო ოპერის და რუსთაველის თეატრებში **ლენინის გარდაცვალების გამო მოწყობილ** მიტინგებზე. ესწრება ზღვა ხალხი. გარეთაც უფრო მეტია; ამოდენა ხალხი მე არ მინახავს 1905 წლის შემდეგ; მაშინ მოსკოვში ასაფლავებდენ შავრაზმელისაგან გულგანგმირულს ამხ. ბაუმანს, რომლის დასაფლავებასაც თითქმის მთელი მშრომელი მოსკოვი დაესწრო 1905 წლის ოქტომბრის მიწურულში. სუსხი ზამთარი იყო, მაგრამ ქუჩებში ხალხი მაინც ვერ ეტეოდა...

ლენინის გარდაცვალების დღის სახსოვრად გამართულ მიტინგებზე კი ტფილისში ორივე თეატრებში ხალხი აღარ ეტევა და ნახევარზე მეტი ქუჩაში რჩება. ყველას უნდა შესვლა და მოსმენა იმის, თუ რას იტყვიან ჩვენი მოწინავე ამხანაგები ლენინის შესახებ.

რუსთველის თეატრში კრებას ხსნის ამხ. ყურულაშვილი. ლაპარაკობენ შემდეგი ამხანაგები: რაჟდენ კალაძე, ყურულაშვილი, მიხა ცხაკაია, ვანო სტურუა. ლევინი, წითელარმიელთა წარმომადგენელი, მარჯანიშვილი და მუსულმანთა წარმომადგენელი. ყველანი ერთნაირად სწუხან მსოფლიო პროლეტარიატის საუკეთესო და ერთად-ერთ ბელადის და ჭეშმარიტ წინამძღოლის, მუშათა და გლეხთა საუკეთესო მოსარჩლის, ქომაგის, ერთად-ერთ მაგალითის მაჩვენებელის და მთელს თავის სიცოცხლეში მხოლოდ მშრომელთა განთავისუფლებაზე მზრუნველის, მე III კომინტერნის დამაარსებელის და სულის ჩამდგმელის—ამხანაგ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის—ულიანოვის, ძვირფას ილიჩის უდროოდ დაკარგვაზე და თითქმის ზოგ ორატორებს ცრემლი მოსდით და აშკარად ემჩნევათ ტირილი, თავს ველარ იკავებენ. მთელი მიტინგი მღერის სამგლოვიარო მარშს; ბევრი თავს ველარ იკავებს გალიორკაზე და გულამოსკვნით სტირიან, ნამეტურ დამსწრე მუშა-ქალები!

სცენას ამშვენებს ლამაზათ მორთული, სამგლოვიაროდ გამართული ყოველი კუთხე და შუაში ილიჩის დიდი სურათი, რომელიც ელექტრონის ლამპითაა განათებული.

სათანადო რეზოლიუციის მიღების შემდეგ, რომელიც წაკითხულ იქნა ამხ. დ. კანდელაკის მიერ, ამხ. ვ. სტურუა მიტინგს დახურულად აცხადებს და მუშათა კრება იშლება.

მუშკორი უ. ჯ—ში.

მელითონეებში

ა. წ. 23 იანვარს ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში მოხდა მთელი განყოფილების ქარხანა-სახელოსნოების და სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 400-დე მუშა. თავმჯდომარეობდა ამხ. გლადიშევი. დღიურ წესრიგში იდგა: „ლენინის რევოლიუციონური მოღვაწეობა და მისი სიკვდილი". მოხსენება გააკეთა ამხ. კრუგლიკოვმა, რომელმაც მკაფიოთ, სადა ენით და ვრცლათ დაასურათა რუსეთის და მსოფლიო რევოლიუციის სახელგანთქმულ წინამძღოლის ამხ. ლენინის რევოლიუციონური მოღვაწეობა. კრებამ დაადგინა: საზოგადო კრებამ მოისმინა-რა მოხსენება ამხ. გრუგლიკოვისა, ის გლოვს ძვირფას მასწავლებლის და მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლის ამხ. ლენინის უდროოდ გარდაცვალებას, ფიცსა სდებს, რომ არას დროს არ უღალატებს მშრომელი პროლეტარიატის ხელმძღვანელის, ძვირფას „ილიჩის" მცნებებს და იბრძოლებს მისი საქმის განსამტკიცებლად. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

მუშკორი მელითონე.

პლეხანოვის სახელობის თეატრში

22 იანვარს პლეხანოვის თეატრი გაჭედილი იყო მუშებით. სასიამოვნო იყო პარტერში მჯდომ აუარებელი მუშების ცქერა. ისხდენ და ელოდენ მომხსენებელს. ყველას საუბარი ჰქონდა 905 წლის 9 იანვარის შესახებ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა მომხსენებელი. ფარდა აიწია. გამოვიდა ამხ. ლოლობერიძე და გვაცნობა **ვლადიმერ ილიჩის** სიკვდილი. მან მოკლედ გაგვაცნო, თუ როდის და როგორ გამოგვეცალა ხელიდან ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი, მსოფლიო პროლეტარიატის მამა, ამხ. ლენინი. [illegible] ვერ წარმოიდგენს, თუ როგორი ჯოჯოხეთური ამბავი დატრიალდა თეატრში. ილიჩის სიკვდილის გაგონებაზე ატყდა ტირილი, აუდიტორია განიცდიდა საშინელ ტრაგედიას. რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ მომხსენებლის სიტყვებმა გამოაფხიზლა ნაწილი მუშებისა, მაგრამ ტირილი და მწუხარება მაინც არ შეჩერებულა. კრება 10 წუთის განმავლობაში დაიხურა, გონებამიხდილი მუშები მიდიოდენ, მაგრამ სად არც კი იცოდენ. და ენა ჩავარდნილებივით დაიშალენ, ზოგს კი შინ წასვლაც ვერ მოეფიქრებია და [illegible] იდგნენ თეატრის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „წითელი წიგნი“

დღეს გამოვა გასაყიდათ
ქართულ ენაზე
[illegible]

ფასი 50 კ. ჩერვონეცით.

ვ. ი. ლენინი

ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილების კრებული. კრებულში მოთავსებულია წერილები: ტროცკის, ზინოვიევის, [illegible], ორჯონიკიძის, მიხა ცხაკაიას, ფ. მახარაძის და სხვების.

დაკვეთა შეიძლება: გამომცემლობა „წითელი წიგნი“ რუსთაველის პრ. № 8, ტელ. № 7—54.

863—1—1

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

„მუშათა მთავრობა“ ინგლისში

რკინის-გზელთა გაფიცვა გრძელდება

ახალი მთავრობის გარშემო: მეფემ მიიღო მაკდონალდის მინისტრები, რომლებმაც უკვე ჩაიბარეს პორტფელები.

გაზეთების ცნობით, პირველ რიგში მაკდონალდის მთავრობა მოჰკიდებს უმუშევართა საკითხს.

საერთო მდგომარეობა: დეპუტატ კონსერვატორების ჯგუფს თემთა პალატაში შეაქვს წინადადება მაკდონალდის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

პრესის აზრი: ლონდონის პრესა მიესალმება იმ სისწრაფეს, რომლითაც მაკდონალდმა შეადგინა ახალი მთავრობა.

ახალი მთავრობის გარშემო

ახალი და ძველი მთავრობა მეფესთან

ლონდონი. 24 იანვარი. გუშინ მეფემ მიიღო ბალდვინის კაბინეტის მინისტრები, რომლებმაც ჩააბარეს მას თავისი პორტფელები. შემდეგ მეფემ უელსის პრინცის თანდასწრებით მიიღო მუშათა მთავრობის მინისტრები, რომლებმაც ამის შემდეგ ჩაიბარეს თავისი თანამდებობანი. სასახლის გარშემო აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ეხილა ეს ისტორიული ამბავი.

მუშათა მთავრობამ გამართა თათბირი ინგლისის პრემიერის კაბინეტში. მაკდონალდი მივიდა საგარეო საქმეთა სამინისტროში საქმეების მისაღებად.

მუშაობის პროგრამა

ლონდონი. 24 იანვარი. გაზეთების ცნობით, პირველი პროგრამა, რომელსაც გაატარებს ახალი მთავრობა იქნება უმუშევართა საკითხის მოწესრიგება და ევროპის საქმეების მოგვარება. ამ პროგრამის განსახილველად საჭიროა სამ კვირამდი. როგორც ფიქრობენ, მაკდონალდი გამოვა სრული და დასაბუთებული მოხსენებით მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

რკინისგზელთა გაფიცვა

მუშათა მთავრობა და რკინისგზელთა გაფიცვა.

ლონდონი. 24 იანვარი. საკითხი, რომელსაც გულგრილად ვერ უცქერის მთავრობა—არის რკინისგზელთა გაფიცვა, რომელმაც დაარღვია რკინის გზებზე ნორმალური მიმოსვლა და ბარგების გადაზიდვა. მუშათა პარტიის ლიდერები ენერგიულ ზომებს იღებენ, რომ შეთანხმებით დაამთავრონ საქმე.

გაფიცვის მდგომარეობა ამჟამად ასეთია: გუშინ რკინისგზის დირექტორებმა მიიღეს მემანქანეთა და ცეცხლის გამჩაღებელთა წინადადება ახალი თათბირის მოწვევის შესახებ, მაგრამ განაცხადეს, რომ მათთვის მიუღებელია სხვა წინადადებები, გარდა იმათისა, რომლებიც მათ უკვე წამოაყენეს და რომელთა მიღებაზე უარი განაცხადა მემანქანეთა კავშირმა. ეს თათბირი ჯერაც არ მოწვეულა.

რომ მთავრობას აფიქრებს გაფიცვა, ამ ფაქტს ამტკიცებს ის, რომ გუშინ შრომის მინისტრმა ტომ შოუმ ინახულა ტრედ-უნიონების კონგრესის საბჭოს წევრები, რომლებიც იხილავდენ გაფიცვის საკითხს. გენერალური საბჭოს მიერ არჩეული დელეგატები მიიღებენ ზომებს შეთანხმების მისაღწევათ.

ლონდონი. 25 იანვ. მემანქანეების და ცეცხლის გამჩაღებელთა გაერთიანებულმა ორგანიზაციამ შეატყობინა რკინისგზათა გამგეებს, რომ გაფიცვა, რომელიც კვირას დაიწყო, უნდა გაგრძელდეს. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა მის შემდეგ, როდესაც რკინისგზათა გამგეებმა გამოგზავნეს პასუხი რკინისგზელთა წინადადებაზე მოლაპარაკების განახლების შესახებ. რკინისგზელებმა უპასუხეს აგრეთვე, რომ ისინი მომზადებული არ არიან იმისათვის, რომ განიხილონ შრომის ხელფასის ნაციონალურ ბიუროს გადაწყვეტილება.

ლონდონი. 25 იანვარი. გაფიცვა გრძელდება. მატარებლების მიმოსვლა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა. ეკონომიური ცხოვრების დაშლა უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

საერთო მდგომარეობა

იწყებენ მუშაობას.

ბერლინი. 24 იანვარი. მაკდონალდის მთავრობა, რომელსაც „დეილი ნიუზ“ ესალმება როგორც „ენერგიული პროგრესიული მოღვაწეების კაბინეტს“, მუშაობას დაიწყებს პარასკევს.

კონსერვატორების ცდა.

ბერლინი. 24 იანვარი. დეპუტატ კონსერვატორების ჯგუფს შეაქვს თემთა პალატაში წინადადება მაკდონალდის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, რადგან ეს მთავრობა წარმოადგენს მხოლოდ ამრჩეველთა ერთ მესამედ ნაწილს და მომხრე არის „თეორეტიული და პრაქტიკული სოციალიზმის, რომელიც არ მოსწონს ინგლისის ერს“.

მთავრობის შევსება.

ლონდონი. 24 იანვარი. რამზეი მაკდონალდმა შეავსო მთავრობა პენსიების მინისტრად დაინიშნა რომბერტსი, გენერალ-პროკურორათ—პატრიკ ჰასტინგსი, გენერალ-სოლისიტორათ—შლესერუმცროსი. მთავრობაში, როგორც თემთა პალატის მდივანი, შედის მისს მარგარეტ ბონფილდი.

პრესის აზრი

ბერლინი. 24 იანვარი. ლონდონის პრესა მიესალმება იმ სისწრაფეს, რომლითაც მაკდონალდმა შეადგინა ახალი მთავრობა. საზოგადოებრივი აზრი განცვიფრებულია ლორდ ჩელმსფორდის საზღვაო სამმართველოს პირველ ლორდათ და უაიტლის ჯანმრთელობის მინისტრათ დანიშვნით. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ მაკდონალდმა მიიმხრო ლორდთა პალატის ზოგიერთი წევრები.

პარიზი. 24 იანვარი. „ტან“ მიუთითებს, რომ მაკდონალდი მიიღებს ყველა ზომებს, რომ შეადგინოს ნამდვილი ნაციონალური მთავრობა. მუშათა პარტიის წარმომადგენლებთან ერთად, როგორიც არიან კლაინსი, თემების ლიდერი ტომასი, კოლონიების ლიდერი ჰენდერსონი, სოციალიზმის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი—სნოუდენი, ფინანსიური საკითხების სპეციალისტები — სიდნეი ვებბი; მთავრობაში შედიან აგრეთვე ლორდთა პალატის სამი წევრი—გალდენი, ჩელმსფორდი და პარმური, ყოფილი მოხელეები, როგორიც არის სიდნეი ოლივიერი—ინდოეთის საქმეთა სამმართველოს ყოფილი მდივანი.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

იაპონიაში

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება.

ტოკიო. 22 იანვარი. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ მთავრობას სურს დაამყაროს კეთილ-მეზობლური ურთიერთობა რუსეთთან რაც შეიძლება ჩქარა. სამწუხაროთ, დღემდის წარმოებულ მოლაპარაკებების დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. მთავრობას განზრახული აქვს უზრუნველჰყოს უფლებები, რომლითაც იაპონია დღემდის სარგებლობდა და განავითაროს ეკონომიური ურთიერთობა ორივე ქვეყნებს შორის.

იტალიაში

რუსეთ-იტალიის ბანკის ორგანიზაცია.

რომი. 22 იანვარი. რუსეთის კომერციულ ბანკის დირექტორმა ამბერგმა დაამთავრა მოლაპარაკება ნაციონალურ ეკონომიის მინისტრთან და იტალიის ბანკების დირექტორებთან რუსეთ-იტალიის ბანკის დაარსების შესახებ.

გერმანიის მუშების ბრძოლა

გაფიცვა.

ბერლინი. 23 იანვარი. რურის ქვანახშირის რაიონში გაფიცულია 80000 მაღაროს მუშა. კომუნისტების ხელმძღვანელობით შეიქმნა ერთიანი ფრონტი უნიონისტებისა, [illegible], სოციალ-დემოკრატებისა და სინდიკალისტ მუშებისა. რურის ვესტფალიაში საყოველთაო გაფიცვა გრძელდება. ჰაგენში, ბოხუმსა და ელბერფელდში ხელახლა გაიფიცა 200 მუშა

საყოველთაო გაფიცვა.

ბერლინი. 23 იანვარი. რურის ქვანახშირის რაიონის მაღაროს მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. რეინის [illegible] მუშებმა უარჰყვეს მწარმოებელთა წინადადება სამუშაო დროს გადიდების შესახებ და საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. ინგლისის საოკუპაციო მთავრობამ მუშების მობილიზაცია მოახდინა, გაფიცულ ელექტრო სადგურებზე მუშაობის განსაახლებლად.

მუშათა მღელვარება საქსონიაში.

ბერლინი. 25 იანვარი. დრეზდენიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პროფკავშირთა თათბირის გამო, მოწყობილი იყო მუშათა გამოსვლები, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდენ. გამოწვეული იქნა პოლიცია, რომელიც შეიარაღებული იყო ხელით სასროლი ყუმბარებით, ერთ ადგილას პოლიციის მცირე რაზმს გარსშემოერტყა მრავალრიცხოვანი ბრბო; პოლიციამ იარაღი იხმარა და მოახერხა გაქცევა. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება საფრანგეთის მშრომელებისადმი.

ლიონი. 23 იანვარი. სამშაბათს საფრანგეთის კომპარტიის ყრილობის საღამოს სხდომაზე, პრეზიდიუმის ტრიბუნის წინ, რომელიც მორთულია სამგლოვიარო დროშებით, ყრილობის მონაწილენი დგებიან და მწუხარებით ისმენენ საფრანგეთის კომპარტიის მოწოდებას საფრანგეთის მშრომელებისადმი.

მოწოდებაში ნათქვამია:

„საერთაშორისო პროლეტარიატმა დაჰკარგა აუნაზღაურებელი განძი, მაგრამ მიუხედავად ჩვენი ღრმა მწუხარებისა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ვიბრძოლებთ სოციალური რევოლუციისათვის, რომლის განხორციელებას ლენინმა შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე“.

ტრაურის ნიშნად.

ლიონი 23 იანვ ყრილობის თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო ცეკას მიერ სასწრაფოდ მიღებული გადაწყვეტილებანი:

მახლობელ კვირას პარიზის მახლობელ ადგილებში გაიმართება დემონსტრაცია საფრანგეთის ყველა პარტიულ ორგანიზაციების დელეგატების მონაწილეობით. მომავალ კვირას საფრანგეთის კომპარტიის ორგანიზაციები მართავენ მთელ საფრანგეთში პროცესიებს ლენინის ხსოვნის საპატივცემლოდ. **ყველა კომუნისტებმა ყოველგვარი ძალღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რათა შაბათს საფრანგეთის მუშებმა შესწყვიტონ მუშაობა 5 წუთით,—ტრაურის ნიშნად.**

ყრილობის თავმჯდომარე დადგენილების წაკითხვის შემდეგ აცხადებს, რომ საუკეთესო საშუალება ლენინის ხსოვნის პატივსაცემად—იქნება მუშაობის გაგრძელება კომუნიზმის გასამარჯვებლად. ყრილობა ღებულობს ცეკას წინადადებას და ადგენს განაგრძოს ყრილობის მუშაობა. ერთხმად იქნა მიღებული კომპარტიის ქალთა ორგანიზაციის წინადადება, რომელიც მოითხოვს, რომ „იუმანიტე“-მ გამოუშვას სპეციალური ნომერი რამოდენიმე ეგზემპლარად ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

ყრილობის მუშაობა.

ლიონი. 23 იანვარი. პარტიის პოლიტიკური ხაზის საკითხის გამო გამართულ კამათის დროს, ტრენმა აღნიშნა, რომ პრინციპიალურ საკითხებში პარტია იცავს ერთსულოვნებას კომინტერნის დირექტივების მიხედვით. კამათის დროს აღნიშნავდენ, რომ პარტია უნდა დაუახლოვდეს მასებს: მიიზიდოს ახალი წევრები, გააძლიეროს მუშაობა ადგილებზე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ საკითხებს, რომლებითაც უშუალოთ დაინტერესებული არიან მუშები. საფრანგეთის ახალგ. კომკავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას ბრძოლა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

22 იანვარს, საღამოს 6 საათზე სუვარინმა აცნობა ყრილობას ლენინის გარდაცვალება, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია ყრილობის მონაწილეთა შორის. სხდომა გლოვის ნიშნად იხურება.

ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში

ლონდონი. 20 იანვარი. მუშათა პარტიის წევრმა ჯემს ო-გრედიმ მიიღო წინადადება დაიკავოს ბრიტანეთის ელჩის თანამდებობა მოსკოვში და გაემგზავრება რუსეთში დაუყოვნებლივ, როგორც კი გათავდება ახალი მთავრობის მოლაპარაკება მოსკოვთან საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებ დიდი ბრიტანეთის მიერ.

პოლონეთის ამბები

კრაკოვის აჯანყების საქმე.

ვარშავა. 23 იანვარი. 24 იანვარს იწყება კრაკოვის აჯანყების საქმის გარჩევა.

პილსუდსკიზე თავდასხმის განზრახვა

ვარშავა. 23 იანვარი. ირკვევა, რომ ლეგიონერთა კავშირის შენობაში ყუმბარა უსროლიათ პილსუდსკის მოსაკლავად, რომელიც იქ ეგულებოდათ.

არაჩვეულებრივი კრიზისი.

ვარშავა. 23 იანვარი. პოლონეთის მთავრობა საგონებელში ჩააგდო საფეიქრო და ლითონის მრეწველობის არაჩვეულებრივმა კრიზისმა. კრიზისის ასაცდენად მოიწვიეს ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილ მინისტრთა თათბირი.

სხვადასხვა

ნორვეგია

ნავთსადგურების მუშათა გაფიცვა.

ქრისტიანია. 23 იანვარი. ნავთსადგურების მუშათა გაფიცვა გრძელდება. ნავთსადგურში მოძრაობა შესწყდა. საგაფიცვო კომიტეტმა გამონაკლისის სახით ნება დართო სურსათის დატვირთვა გერმანიის დამშეულ ბავშვებისათვის. გაფიცვას შეუერთდენ ტრანსპორტის მუშებიც.

საბერძნეთი.

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა.

ბერლინი. 23 იანვარი. იტალიისა და საბერძნეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობა ახლდება.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის ქუჩის ბირჟაზე.
(26 იანვარი)

ჩერვონცები — — 1.250,000 ათ.
გირვ. სტერლინგ. ქაღალ. 1.180.000
ჩეკები —1.140.000
დოლარი ქაღ. —277 000
ჩეკები —260.000
ოსმალ. ქაღ. ლირა —167 000
იტალიური ლირა —11800
ფრანგული ფრანკი —12200
საბჭ. ფულის ნიშნები —15 ნაშ.

სურსათის ფასები.
(26 იანვარი)

პური 2 ხარ. 6000 ათ., ძროხის ხორცი—30000 ათ ღორის ხორცი—25000 ათ. შაქარი რაფინადი — 55 500 ათ. ფხვნილი შაქარი—38,750 ათასი, ბრინჯი ალდ. 11100 ათ. კარტოფილი—1500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(26 იანვარი).

პური 1 ხარ. —10000 ათ., პური 2 ხარ. —7000 ათ., ძროხის ხორცი 35000 ათ., ღორის ხორცი 35000 ათ., შაქარი რაფინ. 58000 ათ., შაქარი ფხვნილი 40,000 ათ., ბრინჯი ალდ.—13000 ათ., კარტოფილი 2500 ათ.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ვალუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცი და უცხო ვალიუტა განაგრძობს მომატებას.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება
(26 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	1.250.000	60 კ.	75 000.000
2 „	2 500.000	70 „	87.500.000
3 „	3.750.000	80 „	100.000.000
4 „	5 000.000	90 „	112 500.000
5 „	6 250.000	1 ჩ.	125.000.000
6 „	7.500.000	2 „	250.000.000
7 „	8.750.000	3 „	375.000.000
8 „	100,00,000	4 „	500.000.000
9 „	11.250.000	5 „	625.000.000
10 „	12 500.000	6 „	750.000.000
20 „	25 000.000	7 „	875.000.000
30 „	37.500.000	8 „	1.000.000.000
40 „	50.000.000	9 „	1,125.000.000
50 „	62 500.000	1 ჩერ.	1,250.000.000

საბჭოთა სასამართლოში

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ბათომის განყოფილების საქმე

1-ლი დღე.

19 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში დაიწყო პასუხისმგებელ მუშაკთა კანტორის, კასტრიუკოვის და პერესიპკინის საქმე, რომლებსაც ბრალად ედებათ სამსახურის დროს მთელ რიგ ბოროტმოქმედებათა ჩადენა და სახალხო ქონების გაფლანგვა.

პირველი დღე სასამართლომ მოანდომა საბრალმდებლო აქტის კითხვას. საქმე მდგომარეობს შემდეგში: 21 წლის ბოლოში და 22 წლის დასაწყისში ბრალდებულებმა, ბათომში მოსულ გემის „ტრედენგატის“ გადმოტვირთვის დროს, რომელმაც მოიტანა „არკოსის“ მიერ შეძენილი დაახლოვებით 11.000 ტონა ხორბალი, აცნობეს ამ.-კავ. საგ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის თავმჯდომარეს, რაბინოვიჩს, რომ გემის კაპიტანს სურს გაჰყიდოს 12.000 ფუთი საკუთარი ხორბალი. მიიღეს რა თანხმობა თავმჯდომარისაგან, შეესყიდათ ეს ხორბალი, ბრალდებულებმა ვითომდა შეიძინეს ის ხორბალი, რომელიც ნამდვილად შეადგენდა საზ. „არკოსის“ მიერ შეძენილ ხორბლის ნაწილს, გამოიტანეს ბათომის განყოფილების კასიდან 2.400 გირ. სტერლინგი, რომელიც თვითონ მიითვისეს, ხოლო ანგარიში წარადგინეს კაპიტანის ფიქტიური ხელის მოწერით.

ამას გარდა ბრალდებულებს ბრალად ედებათ—ფართო რწმუნებულების მანდატების უკანონოთ გაცემა, საზარალო ხელშეკრულებათა დადება, ფულების, საჩუქრების დარიგება, გემების კაპიტანებისაგან საჩუქრების მიღება და სხვა.

მეორე დღე.

20 იანვრის დილის და საღამოს სხდომებზე სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებულები.

კანტორმა და კასტრიუკოვმა არ სცნეს თავი დამნაშავედ; პერესიპკინმა სცნო თავი დამნაშავედ 87 [illegible].

მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ სხვადასხვა დაწესებულებისათვის ფულების გაცემა გამოწვეული იყო აუცილებლობით და პართლდებოდა მიღწეული შედეგებით.

კასტრიუკოვი აცხადებს, თუ კანტორი აძლევდა ვისმე 1 მანეთს, სახელმწიფოს სამაგიეროთ შემოსდიოდა ასი მანეთი; გემების კაპიტნებისადმი საჭირო განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობა. არც ერთს მათგანს არ უნდოდა ფოთში შემოსვლა. საჭირო იყო მათი შემოტყუილება, საჭირო იყო მათი საშუალებით გაეგზავნათ მსოფლიო ნავთსადგურებისათვის ინფორმაცია ფოთის ნავთსადგურის ვარგისიანობის შესახებ. ასეთ პირობებში საჩუქრები პირდაპირ აუცილებელი იყო.

ამას გარდა საჭირო იყო კაპიტნებისათვის სხვადასხვა სამსახურის გაწევა. ხორბალი იყო ნაყიდი. როცა „ტრედენგატი“ იდგა ბათომში, გადმოტვირთვა ძალიან ნელა სწარმოებდა. ამას შეეძლო გამოეწვია დიდი ზარალი, ვალის გათავების გამო. ფოთში გადმოტვირთვის პირობები უკეთესადაა დაყენებული. დარწმუნებული იყვენ, რომ იქ გადმოტვირთვა თავის დროზე მოხდებოდა. კაპიტანს ფოთში გამგზავრება არ უნდოდა. მას ჰქონდა საკუთარი ხორბალი, რომლის ფოთში გაყიდვის იმედი მას არ ჰქონდა. როცა ხორბალი იყიდეს, კაპიტანი გაემგზავრა ფოთში გადმოსატვირთავად.

სხვათა შორის ირკვევა, რომ კასტრიუკოვმა თავის დროზე აღიარა მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებები. სასამართლოში მან განაცხადა, რომ მან ცილი დასწამა თავის თავს ათარბეგოვის ფსიქიური ზეგავლენის გამო, რომელიც დახვრეტით ემუქრებოდა მას. რაც შეეხება საზღვარგარეთ შხუნა „ვერა, ნადეჟდის“ მოულოდნელად გაქცევას 8.000 ფ. ხორბლით, ბრალდებულები აცხადებენ, რომ ეს მათთვისაც მოულოდნელად მოხდა. კანტორის განკარგულებით შხუნას გაედევნა გამანადგურებელი გემი.

ფულები მოსამსახურეებს ურიგდებოდათ ადგილობრივ კომიტეტის შეფასებით.

საგ. ვაჭრობის კომისარიატის და „აზნავთის“ მოსამსახურეებისათვის სასადილოს გახსნა მოხდა ცენტრის თანხმობით.

სასადილოს მეპატრონეს ეძლეოდა ნავთი 1 ვაგონი სურსათის გადმოსატანად.

დაწესებულებებისათვის ფულის გაცემა ხდებოდა რაბინოვიჩის ნებართვით.

საღ. მოს 10 საათზე სასამართლო შეუდგა მოწმეთა დაკითხვას.

განაჩენის გამოტანა.

23 იანვარს სხდომა გაიმართა მხოლოდ საღამოს, რადგანაც ექსპერტი ამუშავებდა წერილობით პასუხებს ბრალმდებელის და დამცველების მიერ წაყენებულ კითხვებზე. საღამოს 6 საათზე სასამართლო შეუდგა ექსპერტის დაკითხვას, რის შემდეგაც სასამართლოს კვლევა-ძიება დასრულებულად გამოცხადდა.

პროკურორი ტატიშვილი საერთოდ მხარს უჭერდა ბრალდებას, მხოლოდ შესცვალა ზოგიერთი მუხლები წაყენებულ სასჯელისა.

დიდი სიტყვით ილაპარაკა დამცველმა ბარათაშვილმა 2 საათის განმავლობაში.

24 იანვრის დილის სხდომაზე სასამართლომ მოისმინა დამცველ ლუკინის, ენიკოლოპოვის და ესსენის სიტყვები, პროკურორის რეპლიკა და ბარათაშვილის პასუხი, რის შემდეგაც სხდომა შესწყდა და გადაიდო საღამოს 6 საათისათვის.

საღამოს სხდომაზე სასამართლომ მოისმინა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვა—ყველა ისინი მოითხოვდენ სამართლიანად განაჩენის გამოტანას.

7 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი. ბრალდების ყველა მუხლები კანტორის და კასტრიუკოვის მიმართ დამტკიცებულად ჩაითვალა და ორივეს ჩადენილ ყველა ბოროტმოქმედებათა მიხედვით მიესაჯათ უმაღლესი სასჯელის ზომა—დახვრეტა, მაგრამ ამნისტიის ძალით სასჯელი შეცვლილ იქნა 10 წლით დაპატიმრებაზე სასტიკი იზოლიაციით.

პერესიპკინის მიმართ ბრალდება ყალბი პასპორტის გაცემაში დამტკიცებულია და სასამართლომ მიუსაჯა მას 2 წლით ციხეში დაპატიმრება; ამნისტიით სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით. ყველა ბრალდებულებს ჩაეთვალათ წინასწარი დაპატიმრება.

ქრონიკა

— **მუშა მოსამსახურეთა საყურადღებოთ.** ტფილისის დამზღვევ კასაში 28 იანვრიდან ყოველგვარი სახის დახმარების გაცემა და აგრეთვე ბიულეტენების მიღება საღამოობით შეწყვეტილია.

ამ დღიდან ფულის გაცემა იწარმოებს ყოველდღიურათ 3 საათამდე.

დახმარება მიიღება განცხადების შემოტანის დღესვე.

— **საქ. წითელი ჯვარის სამდღეული.** გლოვის დღის გამო, საქ. წითელი ჯვარის სასარგებლოთ დანიშნული სამდღეული 26, 27 და 28 იანვარი, გადატანილია 2, 3 და 4 თებერვლისთვის.

— **სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი კურსები.** მიწათ-მოქმედების სასოფლო სამეურნეო უმაღლესი კურსების სტუდენტებმა გამოცდები დიპლომის მისაღებათ უნდა ჩააბარონ მარტის დამლევამდე. 1 მაისს მოხდება კურსების ლიკვიდაცია.

— **მეცხვარეთა კრება.** კვირას, იანვრის 27-ს. დილით 9 საათზე, ქალ. ტფილისში პროფბიუროს მცირე დარბაზში შესდგება ტფილისის სამაზრო რაიონის მეცხვარეთა საერთო კრება. დღის წესრიგში:

1. თანამედროვე მდგომარეობა ჩვენი მეცხვარეობისა და საორგანიზაციო გეგმა. 2. სარაიონო საბჭოს არჩევნები. 3. მიმდინარე კითხვები.

— **საქალაქო აღწერა.** ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ უკვე დაამთავრა საქართველოს ქალაქთა აღწერის მასალების დამუშავება. მასალები ახლო ხანში გამოვა 6 ნაწილად.

— **სახლი რკინისგზელებისათვის.** ა.—კ. რკინის გზის სამმართველომ ქ. ერევანში შეიძინა ერთი სახლი ა.—კ. რკინის გზელ მუშა-მოსამსახურეთათვის.

— **გაზ. „წითელარმიელი“.** 1-ლ თებერვლიდან ყოველდღიურათ გამოვა გაზ. „წითელარმიელი“.

— **შრომის ბირჟა.** 24 იანვარს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 180. ახლად ჩაეწერა—163 სამუშაოზე გაიგზავნა—32. მოთხოვნილება იყო—32.

შემთხვევები.

— **თავის დაჭრა.** 23 იანვარს, საღამოს 9 საათზე, აპრეტის ქ. № 3, დანით სასიკვდილოდ თავი დაიჭრა მოქ. დავით ზუბრიკინმა. მიზეზი თვითმკვლელობის განზრახვისა, გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 23 იანვარს საღამოს 8 საათზე, რომანოვის ქ. № 17 გაქურდული იქნა მოქ. ტატიანა მათეს ასული ჩესტნიხინის ბინა, მისივე მოსამსახურე ქალის ნადეჟდა ემელიანოვის მიერ. მიღებულია ზომები მის შესაპყრობათ.

— **ქურდობა.** 23 იანვარს საღამოს 8 საათზე, რომანოვის ქ. № 17, გაქურდული იქნა მოქ. იუზეფა ვასილის ასული კუროვსკის ბინა, საიდანაც წაღებულია 13 ჩერვონეცის ნივთები.

— **ქურდობა.** 22 იანვარს ყიფიანის ქ. № 48 გაქურდული იქნა ალექსანდრე ტიმოფეევის ბინა, საიდანაც წაღებულია 20 ჩერვონეცის სხვადასხვა ნივთები. ეჭვით შეიპყრეს ვასილ ტიმოფეევი.

ხელოვნება

— **სახელმწიფო გამომცემლობა.** სახელმწიფო გამომცემლობის ქუთაისის განყოფილებასთან არსებული წიგნების მაღაზია უერთდება ქუთაისის მაზრ. განათლების განყოფილების წიგნების მაღაზიას. სახ. გამომცემლობა განათ. განყოფილებას თავის მაღაზიაში დაგროვილ წიგნებს უთმობს შეღავათიან პირობებში.

— **სარეპერტუარო კომისია.** მთავარ-ლიტის სარეპერტუარო კომისიამ რეპერტუარში შეიტანა შემდეგი პიესები: „მალსტრემ“ გრ. რობაქიძის, „მზეთ უნახავი ქალი“, მუსიკალური დრამა ტერ-ხაჩატუროვისა.

— **„გარსი მარადი“.** ქ. გამსახურდიას დრამა „გარსი მარადი“ ითარგმნება ფრანგულად და გერმანულად. ფრანგულად თარგმნის ილის. ორბელიანი, გერმანულად ქ. ზეზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **პარტიული კლუბის გამგეობა** კვირას, 27 იანვარს, საღამოს 9 საათზე იწვევს პარტიულ კლუბში (კირკის ქ. მუშკაპის ბინა) ქვემოხსენებულ ამხანაგებს, 9 იანვრის აღსანიშნავ საღამოს საორგანიზაციო თათბირზე: სოტირიის, მედვედევს, კურინას, კუდრიაშს, მიხ. იურინს, სანდრო ეულს, ზომლეთელს, კილოსანიძეს, მოლიოვს, ლეინს.

პარტიული კლუბის გამგეობის თავმჯდომარე მ. [illegible]

განცხადებები

ვახტანგ, კოკი და თინა ჟორდანიები, ნატაშა და სტრატონ თოთიბაძე, ანიჩკა და ვენედიქტე ჟორდანია და ირინე და ბიძინა გელოვანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ მათი საყვარელი ბიძის

ნესტორ ჟორდანიას

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე, შაბათს, 26 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, განსვენებულის საფლავზედ, ნიკოლოზის სასაფლაოზედ გადახდილ იქნება პანაშვიდი. 452—1—1

თავზარდაცემული დედა იულია დავითის ასული, და რუსუდანი, ძმები: არჩილ, ირაკლი და დავით მიქელაძენი უზომო მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფას

ელიზას

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე შაბათს 26 იანვარს, ცხედარს გამოასვენებენ 3 ნახ. საათზე საკუთარ ბინიდან (კალეტის ქ. № 4)

მოხალისე ფლოტის
ამიერ-კავკასიის განყოფილება
23 იანვრიდან გადავიდა თავისი ბინიდან (რუსთაველ. პრ. №№ 9 და 38)
ახალ ბინაზე
(სადაც წინად მოთავსებული იყო რკინის გზის ქალაქის სადგური)
ერივნის მოედანზე, [illegible] ქარვასლაში
მოხალისე ფლოტი აწარმოებს ყოველგვარ სატრანსპორტო ოპერაციებს, [illegible], საბაჟოს ექსპედიცია, დაზღვევა, სესხის გაცემა საქონლის გირაოში. გემების ფრახტი
მოხალისე ფლოტის ამიერ-კავკასიის განყოფილება
859—3—1

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 15 და „ზარია ვოსტოკა“-ში 18 იანვრის 480 ნომერში გამოცხადებული

ვადა

სახელმწიფო და აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციების სამრეწველო დაწესებულებათა მმართველთაგან და კერძო პირთა დაწესებულებათა მფლობელთაგან ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშების ინსტრუქციებისა და ბარათების მისაღებად,

გაგრძელებულია 1 თებერვლამდე 1924 წლისა,

რის შემდეგაც, ყველა ის, ვისაც მიღებული არ ექნება სტატისტიკური ფურცლები და ინსტრუქციები, მიეცემიან პასუხისგებაში თანახმად მე-5 პუნქტ. საქ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 116 21 დეკემბრიდან 1923 წლისა.

ს. ც. ს. ს. პრეზიდიუმი. 857 2—2

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ზებუთოვის ქუჩა № 23.
ღარიბებს უფასოთ. 25—18

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე. რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 803—25—24

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით **რენტგენი დიაგნოზადი**
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—5

თანახმად № 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილს ქ. ტფილისის ალმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერ მაგიდა აცხადებს, რომ ნიშან სარქისას ძე არუთინიანი შემოიტანა განცხადება მისი სახელი, მამის სახელი და გვარის **ნურიჯან აკოფას ძე ხარძეიშვილი** შეცვლის შესახებ.

მაგიდის გამგე ი. ი. კარაევი.

458—1—1 საქმის მწარმოებელი: ხელს აწერს.

დავკარგე უმუშევრობის წიგნაკი ანატოლი კონსტანტინეს ძე ჟაკოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 453—1—1

დავკარგე ბირჟის წიგნაკი და პირადობის მოწმობა მარიამ შადლეს ასული ლორთქიფანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 454—1—1

დავკარგე პირადობის უვადო ბილეთი № 1052 მოცემული 1919 წელს და აღრიცხვის ბარათი № 56, ჩაითვალოს გაუქმებულად. ისაკი რამიშვილი. № 455—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სუფსის თემკომიდან ვასილ სიმ. გოგოლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 456—1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 949 გაცემული იაგორ ჩიგოგიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 451—1—1